ბატონი ედიშერ ჭელიძე – ნესტორი სარკეში

შესავალი

ჩვენ წინაშეა ბატონ ედიშერ ჭელიძის წიგნი "მართლმადიდებლური ხატი" (მართლმადიდებლური მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ), თბილისი 2020 წ. სამწუხაროა, რომ ბატონი ედიშერი ამ წიგნშიც იმეორებს თავის მწვალებლურ მოსაზრებას მაცხოვრის კაცობრივი ბუნებით ყოვლისმცოდნეობის შესახებ. მიუხედავად მრავალგზის შეგონებისა, იგი მძიმედ–ბორგნეულად და განბოკლებულად (ბატონი ედიშერის საყვარელი სიტყვებია) მწვალებლობს და ამავე მწვალებლური სწავლებით ასახიჩრებს მისი გავლენის არეალში მყოფ გამოუცდელ სტუდენტებსა და მას მინდობილ ადამიანებს. არადა მის ადრეულ ნაშრომებში ამ მწვალებლური სწავლების კვალი არ მოჩანს.

მაგალითისათვის, მის 1992 წლის წერილში "ეკლესიის მამათა სწავლება მაცხოვრის კაცობრივი ბუნების შესახებ" მაცხოვრის ვნებით თვისებასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ (ციტატა): *"დიოფიზიტური სწავლებით მაცხოვრის სხეული, თანახმად პავლე მოციქულის სიტყვებისა, ემსგავსებოდა ჩვენს "ცოდვის ხორცს"* ***მხოლოდ იმ აზრით,*** *რომ იგი თავისუფალი იყო ყოველგვარი ცოდვისაგან და* ***არანაირად იმ აზრით,*** *რომ თითქოს ღვთის სხეული არ შეიცავდა რომელიმე* ***ბუნებით ანუ მემკვიდრეობით თვისებას*** *ჩვენი სხეულისას. მაცხოვრის კაცობრივი სხეული ყოვლად თავისუფალი იყო მხოლოდ მემკვიდრეობითი ცოდვილობისაგან, მემკვიდრეობითი ცოდვისმიერი გაუკუღმართებისაგან, ცოდვისმიერი წახდენისაგან, მაგრამ* ***იგი ცოდვის გარეშე ფლობდა ყველა მემკვიდრეობით, ყველა ბუნებით თვისებას ჩვენი სხეულისას,*** *როგორებიცაა:* ***ხრწნადობა,*** *მოკვდავობა, ტკივილგანმცდელობა (ძვ. ქართ. "ვნებადობა", ბერძნ. τὸ παθητόν)...* ***"მემკვიდრეობითი ხრწნადობა" ბუნებითი თვისებაა კაცობრივი სხეულისა და თუ ამ თვისებისგან თავისუფალი იყო იესო ქრისტე, ეს აბსოლუტურად იმავეს ნიშნავს, რომ მას არ მიუღია ჩვენეული სხეული და არ აღსრულებულა გამოხსნა.*** *ამიტომაა, რომ ეკლესიის მამები* ***ყოვლად ეწინააღმდეგებოდნენ*** *მაცხოვრის მიერ*

მიღებული სხეულის ხრწნადობითი თვისების უარმყოფელთ". (ციტატის დასასრული).

ზუსტად იმავე თვალსაზრისით ეკლესიის მამები ეწინააღმდეგებოდნენ მაცხოვრის იმ ჩვენეული მემკვიდრეობითი თვისების უარმყოფელებს, როგორიცაა უმეცრება (არაყოვლისმცოდნეობა). მაშ, რატომ შეიცვალა ბ–ნ ედიშერმა სწორი ეკლესიური ცნობიერება ამ საკითხთან დაკავშირებით მწვალებლურით, რაც, მისი წერილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ***"აბსოლუტურად იმავეს ნიშნავს, რომ მას*** (მაცხოვარს–ა.უ.) ***არ მიუღია ჩვენეული სხეული და არ აღსრულებულა გამოხსნა"?***

ბატონი ედიშერის მწვალებლური სწავლებები ამხილა და ეკლესიოლოგიურად დასაბუთებული, სარწმუნო და ამომწურავი პასუხი გასცა აწ განსვენებულმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (აბაშიძე) (იხ. [1]). იმას, თუ რატომ ვიდეთ თავს, რომ კვლავ დავბრუნებოდით ამ საკითხს, შემდეგი ორი ძირითადი მიზეზი აქვს: 1) არქიმანდრიტ ლაზარეს ხსენებული წერილისა თუ მისი გარდაცვალების შემდეგ ბატონმა ედიშერმა რამდენიმე წიგნი გამოუშვა, რომლებშიც იმავე ცრუ სწავლებებს ქადაგებს. ამას მოჰყვა საკითხის საპატრიარქოს წინაშე დაყენება, რის გამოც საპატრიარქოში შეიქმნა საკითხის განმხილველი კომისია მიტროპოლიტ შიოს ხელმძღვანელობით; 2) საპატრიარქოში საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ბატონმა ედიშერმა მიტროპოლიტ შიოს (ანუ საპატრიარქოს კომისიას) მისწერა წერილი, რომელშიც მას მოყავს თავისი მწვალებლური სწავლების ვითომდა დამადასტურებელი არგუმენტები, წმ. მამათა გამონათქვამებისა თუ კრებათა განჩინებების სახით. სინამდვილეში კი ეს არგუმენტები, პირიქით, ბატონ ედიშერის მწვალებლური სწავლების მამხილებელნი არიან. საგანგაშო ისაა, რომ ხსენებული წერილი წარმოდგენილია თბილისის სასულიერო აკადემიის დოგმატიკისა და პატრისტიკის კათედრის დასკვნის სახით კაცობრივი ბუნების მცოდნეობასთან დაკავშირებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მწვალებლობათა მეტასტაზებმა სემინარია–აკადემიის ფართო წრეები მოიცა.

2020 წ. 3 აგვისტოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისიაში მოხდა საკითხის განხილვა, რომელზეც ამომწურავად გაეცა პასუხი ბატონი ედიშერის ცდომილებას. ამასთან დაკავშირებით 2020წ. 7

აგვისტოს საპატრიარქოს უწყებანმა (იხ. [2]) შემდეგი ინფორმაცია გამოაქვეყნა (ციტატა): "საპატრიარქოს კომისიაში საღვთისმეტყველო საკითხებზე მორიგი შეხვედრა შედგა 03.08.2020, რომელზეც განხილულ იქნა თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრის გამგის, ედიშერ ჭელიძის მიერ მისსავე წიგნებში ("საეკლესიო დოგმატიკა და ერესები", ტომი 1 და "გზა მსოფლიო კრებათა დოგმატური ღვთისმეტყველებისაკენ...") განმარტებული საკითხი – "ქრისტეს კაცობრივი ბუნების ყოვლისმცოდნეობის შესახებ". შეხვედრას უძღვებოდა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). მონაწილეობდნენ: პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე), დეკანოზი ანდრია (ჯაღმაიძე), დეკანოზი ლონგინოზი (სუარიშვილი), დეკანოზი დავითი (ისაკაძე), დეკანოზი დავითი (ქვლივიძე), დეკანოზი დავითი (ნოზაძე). შეგახსენებთ, რომ ამ საკითხზე პირველი შეხვედრა შედგა 2020 წ. 11 ივლისს. მას ესწრებოდნენ პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხის, ტაო-ჯლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, არქიმადრიტი დავითი (ჭინჭარაული), დეკანოზი დავით ისაკაძე, დეკანოზი დავით ქვლივიძე, დეკანოზი დავით ლასურაშვილი, თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრის გამგე ედიშერ ჭელიძე. მომდევნო შეხვედრების საჭიროება განაპირობა საკითხის დაზუსტების აუცილებლობამ.

განმარტება მაცხოვრის კაცობრივი ბუნების ყოვლისმცოდნეობის შესახებ წაკითხულ იქნა შემდეგი სახით: გვმართებს ვიქონიოთ მხედველობაში, რომ როდესაც ქრისტეს განეკუთვნება სხვადასხვა საღვთო თვისება, ისეთი, როგორიცაა ყოვლისმცოდნეობა, ყოვლისშემძლეობა, ყველგანმყოფობა, ცხოველმყოფელობა და ა. შ., ისინი განეკუთვნება მას, როგორც ერთიან პიროვნებას, მაგრამ არ განეკუთვნება ცალკე აღებულ ადამიანობას. ამასთანავე ქრისტეს ადამიანურობა არ გარდაქმნილა ღმრთეებად. ამიტომ იგი თავისთავად არ შეიძლება იწოდებოდეს

ყოვლისმცოდნედ, ყოვლისშემძლედ, ცხოველმყოფელად და ა. შ. ორი ბუნების ჰიპოსტასური შეერთება გულისხმობს ერთ შედგენილ ჰიპოსტასს, რომელშიც შეურევნელად და შეუცვლელად ჰგიეს ორივე ბუნება შეერთების შემდეგაც. ორივე ბუნება, შეერთების შემდეგაც, ინარჩუნებს ერთმანეთისაგან ბუნებისეულ განსხვავებულობას და მათთვის დამახასიათებელ ბუნებისეულ თვისებებს ანუ ჰიპოსტასური შეერთების შედეგად არც საღმრთო ბუნებას შეუძენია ადამიანური ბუნების თვისებები და არც ადამიანურს – საღმრთო ბუნებისა, რადგან ბუნებანი შეურევნელნი დარჩნენ, ხოლო მათი თვისებანი – უვნებელნი. მოყვანილი იყო მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებული დადგენილებები და საეკლესიო მამათა ნაშრომებიდან ამონარიდები..."(ციტატის დასასრული). სრულად იხილეთ წერილის ბოლოს დამატებაში.

გარდა ეკლესიაში საკითხის განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა, ჩვენი ძირითადი მიზანი ის არის, რომ განვიხილოთ ზემოთ ხსენებული კათედრის დასკვნაში მოყვანილი ყველა "არგუმენტი", ასევე მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ბატონ ედიშერის მიერ 2020 წ. გამოცემულ წიგნში "მართლმადიდებლური ხატი" არსებულ მწვალებლურ მოსაზრებებზე.

ამონარიდები ბატონ ედიშერის მიერ 2020 წ. გამოცემულ წიგნიდან "მართლმადიდებლური ხატი"

ჯერ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ბატონი ედიშერი ხსენებულ წიგნშიც იმეორებს თვის მწვალებლურ სწავლებას მაცხოვრის კაცობრივი ბუნებით ყოვლისმცოდნეობის შესახებ. მოვიყვანოთ ციტატები (ციტატებში ხაზგასმით გამოყოფა ჩვენეულია):

"თაყვანს ვცემთ რა უფლის კაცებას აბსოლუტური თაყვანისცემით (ღირსებასთან განუყოფლობაში), ვაღიარებთ მას [მაცხოვრის კაცებას] როგორც აბსოლუტურად გამდიდრებულს ღმრთეებისეული ღირსებით და, შესაბამისად, აბსოლუტური ღირსების მქონეს" (გვ. 154);

"როგორც ცხადზე უცხადესია, უფლის კაცება, უპირველეს ყოვლისა, გამდიდრებულია ღმრთეებისეული მცოდნეობითა და ღმრთეებისეული მეუფებით, ხოლო ვინაიდან ამგვარად

გამდიდრებულ კაცებას მაცხოვრისას, როგორც ზემოთ ვნახეთ, მხოლოდ და მხოლოდ ***აბსოლუტური თაყვანისცემა*** *მიეგება და* ***არანაირად შეფარდებითი,*** *ზემოხსენებული გამდიდრებაც, ყოველ–მიზეზ–გარეშე,* ***აბსოლუტურია და არა შეფარდებითი, რის გამოც უფალი იესო ქრისტე აბსოლუტურად ერთი და იგივე ანუ მხოლო მეუფეა და აბსოლუტურად ერთი და იგივე ანუ მხოლო მცოდნეა საღვთოდაც (ბუნებრივად) და კაცობრივადაც (გამდიდრებითად) როგორც ამ ღირსებათა იგივეობრივად მქონე თავის ღმრთეებისასა და კაცებაში.***

მართლაც, სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს ***დოგმატი მაცხოვრის ბუნებათა ღირსებითი განუყოფელობის შესახებ****, თუ არა, პირველ რიგში, სწორედ იმ ღირსებათა მიხედვით განუყოფელობას, რაც არის* ***მცოდნეობა და მეუფეობა****, რომელთა კვალობაზეც – გამომდინარე უმწვერვალესად შეერთებული ღმრთეებისა და კაცების ყოვლადი ერთჰიპოსტასური ერთღირსებობიდან – მაცხოვარი განკაცებისთანავე ყოვლადჭეშმარიტად ჰგიეს და მყოფობს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც* ***ერთჰიპოსტასური და ერთმცოდნე და ერთმეუფე*** *და* ***არანაირად – ორმცოდნე და ორმეუფე, რაც იგივე ორჰიპოსტასობაა*** *(მოისპენ ესე!)"* (გვ. 165–166);

"ერთჰიპოსტასობა განაპირობებს, აუცილებლად და გარდაუვალად, ერთჰიპოსტასურ ბუნებათა აბსოლუტურ იგივეობას და განუსხვავებლობას ღირსებაში, დიდებასა და თაყვანისცემაში". (გვ.167);

"ვისღა შეუძლია დაუშვას (თუ არა უმალ ნესტორისებრ მძიმედ–ბორგნეულსა და განბოკლებულს), რომ ღმრთეებითი ღირსეულობანი, რომლებითაც მყისვე, პირველშექმნითვე, გამდიდრდა კაცება, კერძოდ, ღმრთეებითი მეუფეობა და ღმრთეებითი მცოდნეობა, თითქოსდა მხოლოდ ზომითად ანუ მადლისმიერად განეკუთვნება კაცებას (როგორც ამას სტეჭობდა[1] ნესტორი), და არა ყოვლითურთ სრულად და მთლიანობითად ანუ ზებუნებრივად, როგორც ამას ერთხმობითად ეკლესიობს უკლებლივ ყველა მართლმადიდებელი მოძღვარი და უკლებლივ ყველა საკრებო განჩინება!?" (გვ 174);

[1] მოქიშპეობდა

"მართლაც, თუნდაც ისე მოხდეს, რომ მხოლოდ ერთ ღმრთეებისეულ ღირსებასთან დაკავშირებით აღიაროს ვინმემ მაცხოვრის კაცებაში მისი ზომითი ანუ მოწყალებითი არეკლილობა და არა უმალ, ყოვლადსრული და ღმრთეებასთან ჭეშმარიტად და აბსოლუტურად ერთღირსებითი შთამსჭვალულობა, ამგვარი ვინმე უთუოდ პირწავარდნილი ნესტორიანელია, ვინაიდან უარყოფს მაცხოვრის ღმრთეებისა და კაცების ჭეშმარიტ ერთთაყვანისცემობას, ხოლო სადაც ჭეშმარიტი ერთთაყვანისცემობა გაუქმებულია, იქ გაუქმებულია ჭეშმარიტი ერთჰიპოსტასობაც და ჭეშმარიტი ერთდიდებაც, რის გამოც ამგვარი ბოროტმადიდებლის მიერ ერთი ქრისტე უთუოდ ორად არის განკვეთილი" (გვ. 175);

"ამრიგად, რომელი ღმრთეებითი ღირსებაც არ უნდა ვიგულისხმოთ (პირველ რიგში კი, ცხადია, სწორედ მცოდნეობა და მეუფება), ყოველი მათგანი მაცხოვრის კაცებას, ქალკედონიური დიოფიზიტობის მიხედვით, ყოვლადსრულად აქვს პირველშექმნითვე მიღებული თავის თავში, რის გამოც ღმრთეებასთან ჭეშმარიტად ერთღირსებითი და ერთთაყვანისცემითად მარად–მყოფობს იგი, სრულიად განქარებულია რა მასში უმეცრებითი და მონური მდგომარეობა, როგორც ამას უმკაცრესი რჯულდებით განგვისაზღვრავს "მართლმადიდებლობის სინოდიკონი" (გვ. 175);

"მაგრამ თუ მაცხოვრის კაცება პირველშექმნითვე ანუ უმწვერვალესი შეერთებითვე აღვსებულია ყოვლადი ღმრთეებითი მეუფობით და თუ, შესაბამისად, განკაცებული ლოგოსი ყოვლადჭეშმარიტად არის მეუფე დიდებისა და არა მხოლოდ ღმრთეებითად, არამედ კაცობრივადაც, როგორც ამას ურყევ დოგმატად განგვიწესებს, აგრეთვე, მეექვსე მსოფლიო კრება (კვლავ შდრ. "ხორცი, მიღებული ზოგადი ბუნებისგან, გახდა იმავე მეუფის გარშემოსაცმელი, ღირსი გახდა იმავე დიდებისა, რისაც – მისი მიმღები [ღმერთი–სიტყვა. ე.ჭ.], თუმცა ბუნებით არ გამხდარა იგი ამგვარი. ამიტომ, ჯეროვნად ეწოდება მას [მაცხოვარს. ე.ჭ.] "დიდების უფალი" როგორც ადამიანსაც), როგორღა შეიძლება რომ ყოვლადჭეშმარიტი მეუფე და დიდების უფალი რაიმე ნიშნით კვლავაც უმეცარი და კვლავაც მონური იყოს?

მართლაც, თუ მაცხოვარის კაცებას ოდენ ზომითად გამდიდრებულად წარმოვსახავდით საღვთო ცოდნაში, მივიდოდით

იმის უეჭველ აღიარებამდე, რომ ხსენებული კაცება, ერთი მხრივ, ჭეშმარიტად გამდიდრებულა ღმრთეებისეული ყოვლადი მეუფებით, მაგრამ არ გამდიდრებულა (ანდა ნაკლულევნად გამდიდრებულა) ყოვლადი ღმრთეებრივი ცოდნით ანუ იგი [კაცება] ნაწილობრივ კვლავაც გაუმდიდრებელი და რეალურად უმეცარი დარჩენილა, რაც, ცხადია, აუცილებლად უნდა გამოხატულიყო და გამოვლენილიყო ჰიპოსტასში (ვინაიდან, როგორც არაერთგზის ითქვა, თუ ბუნება რაიმეში გაუმდიდრებელია, ჰიპოსტასშიც ყოველთვის ამ გაუმდიდრებულობას ანუ თავის ბუნებრივ მდგომარეობას ავლენს), თუმცა ამგვარი რამ (მაცხოვრის კაცობრივი ბუნების უმეცრების რეალური ჰიპოსტასური გამოვლენა) აბსოლუტურად შეუძლებელია, უკიდურესად მწვალებლურია, ვინაიდან ხსენებული ჰიპოსტასი თავად ღმერთ–სიტყვაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ყოვლადი მეუფეა საღვთოდაც (ბუნებითად) და კაცობრივადაც (გამდიდრებითად), ხოლო ცოდნაში უმცირესი სინაკლულეც კი აბსოლუტურად აღმოფხვრის ჭეშმარიტ მეუფებას და განაცრუებს ყოვლადმსოფლიო მეექვსე საეკლესიო კრების (სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის) შეუძრავ დოგმატს მაცხოვრის ყოვლადჭეშმარიტი მეუფების შესახებ არა მხოლოდ ღმრთეებითად (ბუნებითად), არამედ <u>კაცობრივადაც</u> (გამდიდრებითად)" (გვ. 176–177);

"მაცხოვარს თაყვანს ვცემთ როგორც ერთ და მხოლო ჭეშმარიტ მეუფეს საღვთოდაც და კაცობრივადაც (ყოვლადმეუფებითია მისი ხორციც), და ეს ღირსება (მეუფება), როგორც აღვნიშნეთ, ყოვლითურთ მოიცავს დანარჩენ სამს, ვინაიდან ყოვლადჭეშმარიტი მეუფე უმეცარი, არაცხოველსმყოფელი და უძალო ვერ იქნება" (გვ. 177);

"როგორღა შეიძლება, რომ საღვთოდ მცოდნე და ძალმოსილი მეუფე <u>კაცობრივად უმეცარი და მონური მეუფე იყოს?</u>" (გვ. 179) (ციტატების დასასრული).

ჩვენ საგანგებოდ ვეძებდით ბატონი ედიშერის ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში იმის მოწმობას, რომ იგი "კაცობრივ ბუნებაზე" საუბრისას გულისხმობს არა შეურევნელ ბუნებას, არამედ ჰიპოსტასს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ მივაკვლიეთ. მის ნაწერებში შეურევნელი კაცობრივი ბუნება არსობრივად (და არა ოდენ

სიტყვისმიერად) აღარ არის, მისი კაცობრივი (ე.წ. გნოსეოლოგიური) თვისებები გამოუვლენელი შეიქმნა. მეტიც, კაცობრივი ბუნება აბსოლუტურად განიღმრთო, ღმრთაების აბსოლუტურად იგივური გახდა და, ფაქტობრივად, შეერია მას. ამიტომ ჩვენ ბატონი ედიშერის მწვალებლურ სწავლებას მოკლედ ასე ჩამოვაყალიბებთ: ბატონი ედიშერი შეურევნელ კაცობრივ ბუნებას მიაწერს ღმერთ–კაცის თვისებას, რაც მწვალებლობაა.

ეკლესიის სწავლება ასეთია: «მიტ. მაკარის (ბულგაკოვი) „მართლმადიდებლურ-დოგმატურ ღმრთისმეტყველებაში" ნათქვამია: „ქრისტეს კაცობრივი ბუნების განღმრთობა იმგვარად კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი მოაკლდა თავის შეზღუდულობას და ნამდვილად მიიღო რომელიმე უსაზღვრო საღმრთო სრულყოფილება...: ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ქრისტეს კაცება შეიცვალა თავისი ბუნებით, თავისი ბუნებრივი თვისებებით; ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ იგი შეერწყა ღმრთაებას, ან შეიცვალა ღმრთაებად, და არა მხოლოდ განიღმრთო". „თუ ქრისტეს კაცობრივი გონებაც გახდა უსაზღვროდ ყოვლადბრძენი და ყოვლისმცოდნე, მაშინ იგი არაფრით განსხვავდება მისი საღმრთო გონებისაგან და ქრისტეში ორი გონება კი არა, ერთია..." (ტ. 2, გვ.94–98)» (იხ. [1], გვ.18).

ეკლესიის სწავლებით იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, ჩვენი მსგავსი, ცოდვის გარეშე; განხორციელებისას მას აქვს ერთი პირი და ორი ბუნება, შეერთებული მასში ერთპირად, შეურევნელად და განუყოფელად. IV მსოფლიო კრებამ ”რომელსაც ძეგლ მართლმადიდებლობისა” ეწოდა, განაჩინა, აღიაროს ქრისტეში შეერთება ორ ბუნებათა: განუყოფლად, განუყრელად, შეურევნელად და უქცეველად. 1) განუყოფლად ე.ი. ორი ბუნება შეერთებული ქრისტეში, არ შეადგენს ცალკე არსებულ პიროვნებას, არამედ ორივე ბუნება შეერთებულია ერთგვამოვნად. 2) განუყრელად ე.ი. შეერთება ორი ბუნებისა, დაწყებული ღვთის სიტყვის განხორციელების პირველ წამიდანვე, გაგრძელდა და გრძელდება მარადის. კაცობა იესოში არასოდეს არ ყოფილა განსაკუთრებულ პიროვნებად, არამედ მიღებულ იყო მისი ღვთაებრიობის პიროვნების ერთობაში ერთ გვამოვნებად. 3) შეურევნელად – ე.ი. ორი ბუნება იესო ქრისტეში არ შერეულა ერთმანეთში ისე, რომ მათგან შემდგარიყო მესამე ბუნება, არამედ ორივე ბუნება იმყოფება მასში, როგორც ორი

სხვადასხვაგვარი ბუნება. 4) უქცეველად ე.ი. ღვთის ძისაგან კაცური ბუნების მიღებით არ შეცვლილა არც ღვთაებრივი და არც კაცური ბუნება, არც ღვთაებრივი ბუნება ქცეულა კაცურად, არც კაცური ღვთაებრივად. თითოეული ბუნება, შეერთების შემდეგაც, დარჩა უცვალებელად და მთელად.

ახლა მოკლედ გადმოვცეთ ბატონი ედიშერის სწავლების არსი: «ე. ჭელიძე ხშირად ხაზს უსვამს, რომ თვით ჩვენი ბუნება, რომელიც ღმერთ–სიტყვამ მიიღო ჩვენგან, თავისთავად ფლობდა "უმეცრებას" თავისი გონებით, ნების "არაყოვლისშემძლეობას", "არაცხოველმყოფელობას" და იყო მონური. მაგრამ როდესაც სიტყვა განკაცნა ("მეყსიერად", "პირველწამიდან"), ქრისტეს კაცობრივ ბუნებას საღმრთო ბუნებისაგან გამდიდრების შედეგად გადაეცა საღმრთო თვისებები – "ყოვლისმცოდნეობა", "ყოვლისშემძლეობა", "ცხოველსმყოფელობა", "ყოვლისმეუფება" და განკაცების შემდეგ ეს ბუნება უკვე "ყოვლისმცოდნეცაა", "ყოვლისშემძლეცაა", "ცხოველმყოფელიცაა" და "ყოვლისმეუფეც".... ამასთანავე ამბობს, რომ "ეს გამდიდრება იწვევს არა კაცობრივი გონების ბუნებითი თვისებების (უმეცრების, მონურობის, არაცხოველმყოფელობის) მოსპობას, არამედ ამ თვისებათა ოდენ დახშვას, რეალურ სრულ აუმოქმედებლობას"... ე. ჭელიძის თქმით, „ერთი და იგივე იესუ ქრისტე ვერანაირად ვერ იქნება ერთდროულად „მცოდნეც" და „არმცოდნეც", რამეთუ „არსებობს თვისება, რაც ვერანაირად ვერ იგუებს თავის საპირისპიროსთან თანაარსებობას"» ([1], გვ.36).

სწორედ ეს არის ბატონი ედიშერის ცდომილება. «ე. ჭელიძეს სრულიად არამართებულად ესმის იესუ ქრისტეს კაცობრივი ბუნების „განღმრთობა", „გამდიდრება" და ამ ბუნების მიერ „ფლობა" საღმრთო ბუნების თვისებებისა. მისი სწავლებიდან გამომდინარეობს სწორედ ის, რისგანაც ასე კატეგორიულად გვაფრთხილებს „დოგმატური ღმრთისმეტყველება" - სწორედ ბუნებათა თვით ის შერწყმა, რასაც მონოფიზიტები უშვებდნენ. აქ ბუნებათა შერწყმა კი არა, პირდაპირ მთლიანი შთანთქმაა („დახშვაა") ყველა თვისებისა, რომელიც მიეკუთვნება ადამიანის შეზღუდულ სულიერ ბუნებას, მათი სრული ასიმილაციაა საღმრთო ბუნებისაგან, ისე რომ ქრისტეს კაცობრივი სული მთლიანდ კარგავს თავის შეზღუდულობას, ანუ საღმრთო ბუნების იგივეობრივი ხდება.» (იხ.[1], გვ. 22).

«იგი, როგორც აპოლინარი და შემდგომში მონოფიზიტები, ურევს პიროვნებასა და ბუნების თვისებებს. ამიტომ ჰგონია მას, რომ შეუძლებელია ერთი პიროვნება იყოს „მცოდნეც" და „არმცოდნეც". მას ჰგონია, რომ თუ ჩვენ ამას დავუშვებთ, მაშინ უცილობლად პიროვნების გაორება მოხდება და, ნესტორის მსგავსად, ქრისტეში ერთი კი არა, ორი პიროვნება იქნება.»

ამასთან, ბატონი ედიშერი «კაცობრივი ბუნების თვისებებს ორ კატეგორიად ჰყოფს. „ერთი მხრივ" - ისეთი თვისება, როგორიცაა „უმეცრება", ედიშერის თქმით, უკავშირდება აზრს, გონებას, ცოდნა-არცოდნას, ანუ იგი ე.წ. „გნოსეოლოგიური თვისებაა". ამ კატეგორიას ე. ჭელიძე ასევე მიაკუთვნებს: „არაცხოველმყოფელობას", „მონობას", „არაყოვლისშემძლეობას". „მეორე მხრივ", ისეთი თვისებები, როგორიცაა „უყვედრელი ვნებულებანი": „შიმშილი, წყურვილი, გამონადენი, დაღლილობა, ჭამა, სმა, ძილი, შიში, ცრემლი, ოფლი, სისხლი, მოკვდაობა, ხრწნადობა, ტკივილის განცდა და ა.შ." – „ყოფიერებითია" ანუ „ონტოლოგიური სახის" თვისებებია... ჯერ ერთი, ჩვენ ვერსად ვნახეთ, რომ ეკლესია ასწავლიდეს თვისებათა ამგვარ გაყოფას, თითქოს კაცობრივი ბუნების ერთი სახის თვისებები რეალურად ვლინდებიან, ხოლო მეორენი ვერ ვლინდებიან და არსებობენ მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში. წმიდა იოანე დამასკელი ამტკიცებს, რომ „ბუნებათა არსობრივი განსხვავება სრულიად ნარჩუნდება"» ([1], გვ.25,27)

«ე. ჭელიძე პირდაპირ ამბობს, რომ „გამდიდრება იწვევს არა კაცობრივი ბუნების ბუნებითი თვისებების მოსპობას, არამედ ამ თვისებათა ოდენ დახშვას, რეალურად სრულ აუმოქმედებლობას", მაგრამ იქვე წმიდა იოანე დამასკელი გაკვირვებით კითხულობს: „ვის სად გაუგია ბუნება უმოძრაო ან სრულიად აუმოქმედებელი"? ცხადია, რომ თუ ქრისტეს კაცობრივ ბუნებას, რომელიც ბუნებითად შეზღუდულია, არ შეუძლია „რეალურად, მოქმედებაში" გამოავლინოს თავისი შეზღუდულობა და „სინამდვილეში და მოქმედებაში" მხოლოდ შეუზღუდავ თვისებებს ავლენს, საღმრთო ბუნებისაგან რომ აქვს მიღებული, - მაშინ ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს: ეს ბუნება შეერია საღმრთო ბუნებას, შეერწყა მას... VI მსოფლიო კრების 150 მამათა სარწმუნოების გადმოცემაში ვკითხულობთ: „... ვაღიარებთ მასში (ქრისტეში–ა.უ.) ორ ბუნებით სურვილს და ორ ბუნებით ნებას არა

ურთიერთსაწინააღმდეგო, როგორც ამას ბიწიერი მწვალებლები ამბობდნენ, ნუ იყოფინ!... ვამტკიცებთ, რომ ერთსა და იგივე უფალში არის ორი ბუნებითი მოქმედება... მან ჭეშმარიტად, და არა მოჩვენებით, გამოავლინა თავი სასწაულებითაც და ვნებითაც მთელ თავის განგებულებით ცხოვრებაში, ბუნებითი სხვაობის გამოვლენით ერთსა და იმავე ჰიპოსტასში... მამათა სწავლებით, თუ „არ მოსპობილა ბუნებათა სხვაობა" და „მთლიანობაში ნარჩუნდება" ეს სხვაობა, მაშინ „უეჭველია, რომ ამ ბუნებათა თვისობრივი მოქმედებებიც ნარჩუნდება, ვინაიდან არ არსებობს ბუნება, რომელიც მოკლებულია მოქმედებას"» ([1] გვ.28–30).

ცრუმადიდებლობის მეთოდის მხილება

ბატონი ედიშერის ცრუმადიდებლობის მეთოდი კი შემდეგში მდგომარეობს: მას ქრისტეს საკუთრივ შეურევნელი კაცობრივი ბუნებით ყოვლისმცოდნეობის შესახებ თავისი მწვალებლური სწავლების დასასაბუთებლად მოყავს წმ. მამათა სიტყვები, რომლებშიც საუბარია ღმერთ–კაცის, და არა ცალკე კაცობრივი ბუნების ყოვლისმცოდნეობაზე. ამის მერე ბატონი ედიშერი ცდილობს მამათა მიერ აღნიშნული ღმერთ–კაცის ეს თვისება შეურევნელ კაცობრივ ბუნებას მიაწეროს, ამასთან ისე შეფუთოს და თავისი მჭევრული სიტყვიერებით ისე გაართულოს მსჯელობა, რომ დააბნიოს გამოუცდელი სული და მისი სიტყვაკაზმულობით მოხიბლული მკითხველი. ამაზე იტყოდა სულმნათი ილია "აბრუნდიაო". ამასთან, ბატონი ედიშერი მათ მიმართ, ვინც ეკლესიის სწავლების მიხედვით ქრისტეში საკუთრივ კაცობრივი ბუნების შეურევნელობასა და, შესაბამისად, არაყოვლისმცოდნეობას აღიარებს, ცილისმწამებლობს და მათ ნესტორისა და თემისტიოსის სწავლების მიმდევრობასა და ქრისტეს ლიტონ კაცად ქცევას აბრალებს.

ბატონი ედიშერის ამ მწვალებლური მეთოდის სამხელად მოვიყვანოთ ამონარიდი წმ. იოანე დამასკელის წიგნიდან "მართლმადიდებელი სარწმუნოების...":

"უფალ იესო ქრისტესთან დაკავშირებით... როდესაც ბუნებებს განვიხილავთ, ღმრთეებას და ადამიანობას ვუწოდებთ მათ, ხოლო როდესაც ბუნებათაგან შედგენილ ჰიპოსტასს, ზოგჯერ... ვუწოდებთ მას

ქრისტეს ან კიდევ ღმერთსა და კაცს ერთობლივად ანდა ხორცშესხმულ ღმერთს, ზოგჯერ კი... მხოლოდ ღმერთს და ღვთის ძეს ანდა მხოლოდ ადამიანს და ადამიანის ძეს... ამიტომ, ვამბობთ რა ღმრთეებას, არ ვაკუთვნებთ მას ადამიანობის თვისებებს... ასევე, არც ხორცს ანუ ადამიანობას განვუჩინებთ ღმრთეების თვისებებს. რაც შეეხება ჰიპოსტასს, თუნდაც რომ ორივესგან ერთად, ან თუნდაც ერთი ნაწილისგან სახელვდებდეთ მას, ორივე ბუნების თვისებებს განვუკუთვნებთ, რადგან ქრისტე, რომელიც ორივე მათგანია, ღმერთადაც ითქმის და ადამიანადაც, ქმნილადაც და უქმნელადაც, ვნებულადაც და უვნებლადაც. და როდესაც ერთი ნაწილისგან გამომდინარე იწოდება იგი ღვთის ძედ და ღმერთად, იღებს იგი თანაგვამოვანი ბუნების ანუ ხორცის თვისებებსაც, ამიტომ ეწოდება მას „ღმერთი ვნებული„ და „უფალი დიდებისა ჯვარცმული“, თუმცა არა - როგორც ღმერთს, არამედ - მასვე, როგორც ადამიანსაც. ასევე როცა ეწოდება მას „ადამიანი“ და „ადამიანის ძე“ იღებს იგი ღმრთეების არსების თვისებებსა და ღირსებებს... აი, ეს არის ნაცვალბოძების წესი, როდესაც თითოეული ბუნება მეორეს სანაცვლოდ აძლევს საკუთარს, ჰიპოსტასის იგივეობის და მათი ურთიერთდამტევნებლობის გამო" ([3], თავი 48, გვ.115).

ბატონი ედიშერი კი ბუნებასა და ჰიპოსტასს ერთმანეთში ურევს და, აქედან გამომდინარე, სახეზეა ბატონი ედიშერის "აბრუნდ"–ცილისმწამებლური ცრუმადიდებლობის მეთოდი.

ბატონი ედიშერი ხსენებული მეთოდით ყოველნაბიჯეულად სარგებლობს. ამიტომ მოვიყვანოთ (ფოტო–ამონარიდების სახით) დოგმატიკისა და პატრისტიკის კათედრის ზემოთ ხსენებულ დასკვნაში არსებული ყველა "არგუმენტი" და ვაჩვენოთ, რომ ეს არგუმენტები არა ბატონ ედიშერის სწავლების დამდასტურებლები, არამედ მისი ცრუსწავლების მამხილებლები არიან. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ბატონმა ედიშერმა ყველა ის "სათავისო არგუმენტი" შეიტანა ხსენებულ დასკვნაში და წამოაყენა საპატრიარქოს კომისის წინაშე, რასაც აქამდე მიაკვლია.

ციტატა:

"წმ. მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.)

ЧЕЛОВЕЧЕСТВО ГОСПОДА, ПО ЕДИНЕНИЮ С ЛОГОСОМ **ВСЕ ЗНАЛО,** И **ВСЕ, ЧТО ПОДОБАЕТ БОЖЕСТВУ, В НЕМ БЫЛО ЯВЛЕНО**

„**უფლის კაცებამ**, იმდენად რამდენადაც **შეუერთდა** იგი სიტყვას [ლოგოსს], **ყოველივე იცოდა და ყოველივეს, რაც ღვთის-მესაფერისია, თავის თავში გამოაჩინებდა**"

(ციტატის დასასრული)

აქ წმ. მაქსიმე აღმსარებელი სწორედ რომ ღმერთ–კაცის ყოვლისმცოდნეობაზე საუბრობს და იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას ამას ამბობს, რომ უფლის კაცობრივმა ბუნებამ ყველაფერი იცოდა ლოგოსთან შეერთებიდან გამომდინარეო (по единению с логосом), ანუ ნაცვალბოძების წესის გამო, როგორც ამას წმ. იოანე დამასკელი ამბობს. ღმერთ–კაცის ამ თვისების მიკუთვნება შეურევნელი კაცობრივი ბუნებისათვის ბატონი ედიშერის ის მწვალებლური "აბრუნდია", რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით.

ციტატა:

"წმ. მაქსიმე აღმსარებელი

не ... **Сын Божий ЗНАЛ ВСЕ ВЕЩИ, и по этой причине ЕГО ЧЕЛОВЕЧЕСТВО, НЕ ПО ПРИРОДЕ, НО ПО ЕДИНЕНИЮ С ЛОГОСОМ ЗНАЛО ИХ?**

„**როგორღა არ ეცოდინებოდა უმალ ყოველივე ღვთის ძეს და, ამის შედეგად, კაცებასაც, – არა ბუნებით, არამედ სიტყვასთან [ლოგოსთან] შეერთებულობით?**"

(ციტატის დასასრული)

წმ. მაქსიმე აღმსარებელი აქაც მკაფიოდ ამბობს, რომ ქრისტეს კაცობრივმა ბენებამ ყოველივე იცის არა საკუთრივ კაცობრივი ბუნებით (не по приоде), (ანუ ბუნებით არ იცისო), არამედ ლოგოსთან შეერთებითო (а по единению с логосом знало все). რა არის აქ გაუგებარი? წმ. მამა ხომ ხაზგასმით ამბობს, რომ კაცობრივმა ბუნებამ

ბუნებითად (по природе) არ იცისო, არამედ შეერთებითო, ანუ იგივე ნაცვალბოძების წესის გამო? ხედავთ, როგორ "აბრუნდს" გვიტარებს ბატონი ედიშერი?

ციტატა:

"წმ. იოანე დამასკელი (VIII ს.)

и по отношению **К ДУШЕ ГОСПОДА ИИСУСА ХРИСТА** мы не говорим о обдумывании и выборе; ибо **ЕЙ НЕ БЫЛО СВОЙСТВЕННО НЕВЕДЕНИЕ**. Если Ему и принадлежала природа, не ведущая будущего, однако, **ипостасно соединившись с Богом Словом, ОНА ОБЛАДАЛА ЗНАНИЕМ ВСЕГО**.

„არც უფლის [ადამიანური] სულისადმი ვამბობთ განზრახვას ან არჩევანს, რადგან **არ ჰქონდა მას უმეცრება**. თუმცა სამომავლო საქმეთა არმცოდნე ბუნებისა იყო იგი, მაგრამ ჰიპოსტასურად ღმერთსიტყვასთან შეერთებულს **ყოველივეს ცოდნა ჰქონდა**"

(ციტატის დასასრული).

წმ. იოანე დამასკელი ამბობს, რომ იესო ქრისტეს, ანუ ღმერთ–კაცს არ ახასიათებდა უმეცრება. შემდეგ კი მკაფიოდ განმარტავს, რომ თუკი ქრისტეს ჰქონდა (კაცობრივი) ბუნება, რომელმაც არ იცოდა მომავალი (Если Ему и приналежала природа, не ведущая будущего), მაინც ჰიპოსტასურად ღმერთ–სიტყვასთან შეერთებით, იგი ყოვლისმცოდნეობას ფლობდა (однако, ипостасно соединившись с Богом Словом, Она обладала знанием всего). წმ. მამა აქ ნათლად ამბობს, რომ ქრისტემ კაცობრივი ბუნებით არ იცოდაო, მაგრამ ჰიპოსტასური შეერთებით, ღმერთ–კაცობრივად, ანუ ნაცვალბოძების წესის გამო, ყველაფერი იცოდაო. ამ შემთხვევაშიც ყველაფერი მკაფიოდ არის ნათქვამი და როგორც ვხედავთ, აქაც ედიშერისეულ "აბრუნდისთან" გვაქვს საქმე.

ციტატები:

"წმ. იოანე დამასკელი

Ибо **если ПЛОТЬ С НАЧАЛА БЫТИЯ истинно соединилась с Богом Словом, лучше же: в Нем получила бытие и возымела ИПОСТАСНОЕ С НИМ ТОЖДЕСТВО,** то **К А К И М О Б Р А З О М О Н А Н Е С О В Е Р Ш Е Н Н О О Б О Г А Т И Л А С Ь В С Я К О Ю М У Д Р О С Т Ь Ю и благодатью!**

„მართლაც, თუ ჭეშმარიტად შეუერთდა ღმერთ-სიტყვას **ხორცი** უმწვერვალესი მყოფობიდანვე ანდა, უკეთ, თუ ღმერთ-სიტყვაში მყოფობდა იგი და თუ გვამოვნებითი *(ჰიპოსტასისეული)* იგივეობა ჰქონდა მასთან, **როგორღა არ გამდიდრდებოდა იგი სრულად ყველა სიბრძნით** და **მადლით!"**

Того же, **что приличным человеку образом говорится и написано о Христе Спасителе,** сказано ли то было Им, или сделано, **шесть образов ... Четвертое – ПО ПРИЧИНЕ РАЗДЕЛЕНИЯ, ИМЕВШЕГО МЕСТО В МЫСЛИ.** Ибо если **МЫСЛЬЮ разделишь то, что в действительности неотделимо,** то есть **ПЛОТЬ ОТ СЛОВА,** то **ОН НАЗЫВАЕТСЯ И РАБОМ, И НЕ ОБЛАДАЮЩИМ ВЕДЕНИЕМ;** ибо был с рабским и не обладавшим ведением естеством, **И ПЛОТЬ, ЕСЛИ НЕ БЫЛА СОЕДИНЕНА С БОГОМ СЛОВОМ, БЫЛА РАБСКОЮ И НЕ ОБЛАДАВШЕЮ ВЕДЕНИЕМ; но, ПО ПРИЧИНЕ ИПОСТАСНОГО СОЕДИНЕНИЯ С БОГОМ СЛОВОМ, И НЕ БЫЛА РАБСКОЮ, И НЕ ОБЛАДАЛА НЕВЕДЕНИЕМ.** Вследствие того, Он назвал Отца даже Богом Своим.

„რაც ქრისტე მაცხოვრის შესახებ ადამიანის შესაფერისად [თქმულა და] დაწერილა [**მის**] გამონათქვამებთან ან საქმეებთან დაკავშირებით, **ექვსი სახისაა. ... მეოთხეა** ის, რაც გამომდინარეობს **აზრისმიერი გამიჯვნიდან,** რადგან **თუ აზრისმიერად გამიჯნავ ჭეშმარიტად განუყრელთ,** ე. ი. [**თუ გამიჯნავ**] **ხორცს სიტყვისგან**[1], **მაშინ ითქმის იგი**[2] **«მონადაც» და «უმეცრადაც»,** რადგან **მონური** და **უმეცრებითი ბუნებისაც** იყო **და რომ არ შეერთებოდა ღმერთ-სიტყვას ხორცი, მონური იძნებოდა** ის **და უმეცარი,** მაგრამ, **ღმერთსიტყვასთან ჰიპოსტასური შეერთების გამო, ადარც მონა იყო და ადარც უმეცრებდა**[3].

(ციტატების დასასრული).

აქ წმ. იოანე დამასკელი ჰიპოსტასურ ერთობაში ღვთაებრივი თვისებების გამოვლინებაზე საუბრობს (возымела ипостасное с ним тождество). იგი ამბობს, რომ თუ ავიღებთ ცალკე შეურევნელ კაცებას, განყენებულად (если мыслью разделишь), ის ბუნებითად მონურიც არის და უმეცრულიცო (ибо был и рабским и не обладающим ведением естеством), მაგრამ ჰიპოსტასური შეერთებით, ანუ ჰიპოსტასურად ის არ იყო არც მონური და არც უმეცარიო (но, по причине ипостасного соединения с Богом Словом, и не была рабскою, и не обладала неведением...). ანუ შეურევნელი, აზრობრივად განცალკევებული კაცობრივი ბუნება უმეცარია, მაგრამ იგი ჰიპოსტასურ ერთობაში მყოფი და მისგან განუყოფელი, იგივე ნაცვალბოძების წესის გამო, – ყოვლისმცოდნეა. ცხადზე უცხადესი ფორმულირებაა!

ციტატა:

" VI მსოფლიო კრება (680–681წწ.)

Итак **да будут навсегда под анафемою и отчужденными от** святой и единосущной и поклоняемой **Троицы, Отца и Сына и Святаго Духа** ... **ФЕМИСТИЙ, БЕЗЗАКОННЕЙШИЙ ОТЕЦ И РОДИТЕЛЬ И НАСАДИТЕЛЬ [УЧЕНИЯ О] НЕВЕДЕНИИ;** он пустословил, что **Христос, истинный Бог наш, не знает о дне суда,** тогда как сам он, богоотверженный, не знал, что говорил, и не понимал, что болтал, колеблясь сомнениями, потому что если бы он знал силу своих слов, то не породил бы **ГУБИТЕЛЬНАГО НЕВЕДЕНИЯ** и не защищал бы жарко **ГНУСНОСТИ СВОЕГО НЕВЕДЕНИЯ, из безумных мыслей своих ИЗРЫГАЯ, ЧТО ХРИСТОС, НЕ КАК ВЕЧНЫЙ БОГ, НО ПОКОЛИКУ ОН СОДЕЛАЛСЯ ИСТИННЫМ ЧЕЛОВЕКОМ, НЕ ЗНАЕТ О ДНЕ КОНЧИНЫ МИРА И СУДА, и НАЗЫВАЯ ЕГО ПРОСТЫМ ЧЕЛОВЕКОМ.**

„ამრიგად, **სამარადჟამოდ ანათემასა და მეჩვენებაში** იყოს წმინდა და თანაარსი და თაყვანსაცემი **სამების, – მამის, და ძის, და სულიწმინდის, – მიერ** ... **თემისტიოსი, უუსჯულოესი მამა, მშობელი და მთესველი უმეცრებიანობისა,** როშელმაც ის **იყბედა,** რომ **ქრისტე,** ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი, **განკითხვის დღის უმეცარი იყოო,** არ იცოდა რა ამ ღვთივგანდევნილმა, რას ამბობდა, და არ უწყოდა ამ უგუნურმა, რას ამომძახებლობდა, ვინაიდან თავადვე რომ არ ყოფილიყო უმეცარი საკუთარ სიტყვათა ძალისა, არ წარმოშობდა იგი **დამლუპველ უმეცრებიანობას** და არც **უმეცრების სიბილწეს** დაიცავდა მხურვალედ, ვინაიდან **«უმეცარი იყოო ქრისტე ქამთ-აღსასრულისა და განკითხვის დღისა, თუმცა არა ივიტყო, რომ მარადიული დმერთიაო იგი, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტად კაცი გახდაო»,** – თავისი შლეგული აზრებიდან აი ეს **ამოანთხია** მან, **აქცია რა ქრისტე ლიტონ კაცად**“.

(ციტატის დასასრული).

ჭეშმარიტად სიშლეგეა სწავლება, რომელიც ქრისტეში ღმრთაებრივ ბუნებას აკნინებს და ქრისტეს ლიტონ კაცად აქცევს (ნესტორი და სხვ.). ისევე, როგორც სიშლეგეა სწავლება, რომელიც ქრისტეში მხოლოდ ღმრთაებრივის გამოვლინებას ჰხედავს და კაცობრივ ბუნებას შთანთქმულად (მონოფიზიტიზმი, მონოთელიტზმი და მისთ,), ან პასიურად (მონოენერგიზმი და მისთ.), ან ღმრთაებრივთან აბსოლუტურად გაიგივებულად (ბატონი ედიშერი) აღიარებს.

სწორედ VI მსოფლიო კრებამ დაადასტურა, რომ იესო ქრისტეს პიროვნებაში – ორი ბუნების მქონე ერთ ჰიპოსტასში – შეურევნელად, უცვალებლად, განუყოფელად, განუყრელად ნარჩუნდება თითოეული ბუნების თვისება. კრებამ ასევე დაადგინა, რომ ვინაიდან ქრისტეს აქვს ორი სრულყოფილი ბუნება - საღმრთო და ადამიანური, შედეგად ის ფლობს ორ ბუნებრივ ნებას და ორ მოქმედ ენერგიას (საღმრთოსა და კაცობრივს), რასაც ადასტურებს თავად სახარებისეული სწავლება. არა

ცალკე ადამიანი და არა ცალკე ღმერთი (ნესტორის მწვალებლობა), არამედ ერთი ჰიპოსტასი მისი ორივე ბუნების გამოვლინებებით. ე.ი. ღმერთკაცის პიროვნებაში დაუზიანებლად შენარჩუნებულია როგორც ადამიანური, ასევე საღმრთო ნება და მოქმედება.

ქრისტეს ადამიანური ნება და მოქმედება, რასაც უარყოფს ბატონი ედიშერი, ანუ ის, რომ ადამიანური ბუნება თავის გამოვლინებებში პასიური არ არის, სახარებაში მრავალგზის აღინიშნება, კერძოდ: ქრისტეს შია და ჭამს; იღლება და ძინავს; მრისხანებს და შოლტით განასხამს მეკერმეებს; უხარია და იღიმება; დამწუხრებულია და ტირის; არ იცის მომავალი და ამბოს, რომ არ ვიციო, მარტო მამამ იცისო; დასასრულს, ევნო ჯვარზე და მოკვდა, რითაც აღასრულა გამოხსნის საიდუმლო. თუკი ედიშერისეული სწავლებით ქრისტეს კაცობრივი ბუნება იმდენად განიღმრთო, რომ საღმრთო ბუნების აბსოლუტურად იგივური გახდა, მაშინ გამოდის რომ ღმრთაებრივი ევნო ჯვარზე და მოკვდა, რაც ბატონი ედიშერის საყვარელი ეპითეტი რომ გამოვიყენოთ, სიცოფეა.

ნიშანდობლივია, რომ ბატონ ედიშერს ბოლომდე არ მოყავს ციტატა, რომლის გაგრძელებაც კიდევ უფრო ნათელს ხდის, თუ რატომ შეაჩვენა კრებამ თემისტიოსი. ბატონი ედიშერის მიერ მოხმობილი ციტატის სიტყვებს კრების განჩინებაში მოსდევს წინადადება: *"и тем самым усвояя себе чудовищность акефалитскую и проповедуя, что одно составное естество у Спасителя нашего, Иисуса Христа".* ამგვარად, თემისტიოსი მონოფიზიტობას ქადაგებს, რისთვისაც იგი შეაჩვენა კრებამ. ამ სწავლების მსგავსია ბატონი ედიშერის სწავლება, რომელიც ქრისტეში მხოლოდ ღმრთაებრივ გამოვლინებას ქადაგებს (თვისებათა ზოგიერთ ნაწილში მაინც).

ციტატა:

"წმ. გრიგოლ დიდი რომაელი (540 – 604 წწ.)

Единородный Сын, воплотившись, сделавшись ради нас Совершенным Человеком, ПОЗНАЛ ДЕНЬ И ЧАС СУДА В СВОЕЙ ЧЕЛОВЕЧЕСКОЙ ПРИРОДЕ, но, однако, НЕ ПОЗНАЛ ЕГО ЧЕРЕЗ СВОЮ ЧЕЛОВЕЧЕСКУЮ ПРИРОДУ. То есть **ТО, ЧТО ОН ПОЗНАЛ В НЕЙ, ОН ПОЗНАЛ НЕ ЧЕРЕЗ НЕЕ**; день и час Суда Бог, ставший человеком, познал **силой Своего Божества.**

„განკაცებულმა მხოლოდშობილმა, ჩვენს გამო სრულ ადამიანად ქმნილმა, **კაცობრივ ბუნებაში იცის დღე და ჟამი განკითხვისა**, თუმცა ეს არ იცის მან კაცობრივი ბუნებიდან გამომდინარე. ამრიგად, **რაც მასში** *[კაცობრივ ბუნებაში, ე. ჭ.]* **იცის, არ იცის მისგან** *[კაცობრივი ბუნებისგან, ე. ჭ.]*, ვინაიდან კაცქმნილმა ღმერთმა დღე და ჟამი განკითხვისა იცის თავისი ღმრთეების ძალით“.

(ციტატის დასასრული).

რაოდენ უცნაურია, რომ ბატონ ედიშერს მისი მწვალებლური სწავლების მკაფიოდ მამხილებელი ეს ციტატა თავისი სწავლების დასტურად მოჰყავს. წმ. მამა მკაფიოდ ამბობს, რომ მხოლოდშობილმა ძემ მომავალი იცოდა არა თავისი კაცობრივი ბუნების მეშვეობით (*не познал его через свою человеческую природу*), ანუ რაც იცოდა მასში (კაცობრივ ბუნებაში), იცოდა არა მისით, ანუ კაცობრივი ბუნებით (*То есть то, что он знал в ней, он знал не через нее*), არამედ განკაცებულმა ღმერთმა იცოდა თავისი ღმრთაებრიობით (*Бог, ставший человеком, познал в силу Своего божества*). ხომ სრულიად ნათელია, რომ წმ. მამა საუბრობს განკაცებული ღმრთის ყოვლისმცოდნეობაზე, ხოლო კაცობრივზე ამბობს, რომ ამ ბუნებით მას არ შეუმეცნებია, ანუ უმეცარიაო. აშკარად იკვეთება ის, რაზეც ზემოთ ითქვა: ბატონი ედიშერი ვერ ასხვავებს შეურევნელ კაცობრივ ბუნებას შედგენილი ჰიპოსტასისაგან.

ბატონი ედიშერის მიერ კომისიისადმი მიწერილ წერილში შემდეგი ციტატა შეეხება აგნოიტების ერესის მხილებას, რომელიც მოყვანილია გიორგი მონაზვნის (VII ს.) ნაწერიდან "მწვალებელთა წინააღმდეგ". აგნოიტები თემისტიოსის მიმდევრები იყვნენ და ისინიც ქრისტეში, თემისტიოსის მსგავსად, მხოლოდ ერთ ბუნებას აღიარებდნენ. შესაბამისად, მათი ცრუსწავლებიდან გამოდიოდა, რომ ჰიპოსტასი უმეცარი იყო, რაც დაგმო ქალკედონის კრებამ და შემდგომ დაადასტურა VI მსოფლიო კრებამ. აგნოიტების მწვალებლობა თემისტიოსის მწვალებლობის მსგავსია და ამიტომ აგნოიტებთან დაკავშირებით ამონარიდს გიორგი მონაზვნის ნაწერიდან ცალკე აღარ მოვიყვანთ. მით უმეტეს, რომ წერილში შემდეგ მას მოსდევს სტეფანე

ჰიერაპოლელის ციტატა, რომელიც შეეხება იმავე აგნოიტებს და კიდევ უფრო ნათელს ჰფენს ნათქვამ სიტყვებს.

ციტატა:

"სტეფანე ჰიერაპოლელი" (VI ს.)

"ქადაგება აგნოიტების წინააღმდეგ"

„ამრიგად, არავინ მიაკუთვნოს უმეცრება ან ქრისტეს ღმრთეებას როგორც არიანელმა ან მის კაცებას როგორც პავლიანელმა ანდა ნესტორიანელმა“.

μηδεὶς olv ἢ τῇ θεότητι τοῦ Χριστοῦ ἀριανίζων προσαπτέτω ἄγνοιαν, ἢ τῇ ἀνθρωπότητι αὐτοῦ παυλιανίζων ἢ νεστοριανίζων.

(ციტატის დასასრული).

ციტატაში ნათქვამია, რომ არავინ მიაკუთვნოს უმეცრება ქრისტეს ღმრთეებასო, როგორც არიანელებმა (ასევე აგნოიტებმა) და არც ჰიპოსტასურ კაცებასო, როგორც პავლიანელმა და ნესტორიანელმა, რადგან სწორედ ეს იყო მათი მწვალებლობის ერთ–ერთი ნიშანი. ამიტომ სრულიად ნათელია, რომ ჰიპოსტასურ ერთობაში მყოფ კაცებაზე და მის ნაცვალბოძებულ ყოვლისმცოდნეობაზეა საუბარი.

საპატრიარქო კომისიისადმი მიწერილ წერილში ბატონ ედიშერს შემდეგი ციტატები მოყავს წმ. ევლოგი ალექსანდრიელის (580/581 – 608 წწ.) განჩინებიდან "აგნოიტების წინააღმდეგ". ციტატა:

ЧЕЛОВЕЧЕСТВО, которое в единой Ипостаси было соединено с неприступной и Самосущей Премудростью, **НЕ МОГЛО БЫ ЧТО-ЛИБО НЕ ЗНАТЬ,** как о настоящем, так и о будущем или прошедшем.

Он сказал **о неведении последнего дня**, особенно желая показать и подтвердить отличительное свойство человеческой природы, **НЕ В ТОМ СМЫСЛЕ, ЧТО ОН НЕ ЗНАЕТ! НИ ВКОЕМ СЛУЧАЕ! ИБО О НЕВЕДЕНИИ НИ ПО ЧЕЛОВЕЧЕСТВУ, НИ ПО БОЖЕСТВУ О НЕМ НИКТО НЕ ДЕРЗАЛ ГОВОРИТЬ НЕ ВПАДАЯ ПОРОК БЕЗОСНОВАТЕЛЬНОЙ ДЕРЗОСТИ.**

если дерзают необразованные **вывести** из слов Его «Где вы положили Лазаря?» **неведение**, то **почему же тогда они не припишут и Отцу такое же неведение**, говорящему Адаму: «Где ты?» [Быт 3:9], ... И **почему же отсюда не ясно, что это не неведение было?**.

(ციტატების დასასრული).

მოყვანილი განჩინებანი მიმართულია აგნოიტების წინააღმდეგ. აგნიოტების მხილება ხდება იმ კუთხით, რომ, როგორც უკვე ვთქვით, მათი სწავლებით ჰიპოსტასი უმეცარია. ის, რომ ციტატებში ჰიპოსტასურ, ნაცვალბოძებულ ყოვლისმცოდნეობაზეა საუბარი, დასაწყისშივე ჩანს შემდეგ სიტყვებში: კაცობრივი, რომელიც ჰიპოსტასიაში იყო შეერთებულიო (человечество, которое в единой Ипостасии было соединено...). ავტორი საკუთრივ კაცობრივი ბუნებით უცოდინარობასაც აღნიშნავს სიტყვებით, რომ უკანასკნელი დღის არცოდნის შესახებ მან თქვა, რადგან სურდა გამოკვეთილად ეჩვენებინა და დაედასტურებინა კაცობრივი ბუნების განმასხვავებელი თვისება (он сказал о неведении последного дня, особенно желая показать и подтвердить отличительное свойство человеческой природы). დიახ, ბატონო ედიშერ, ჭეშმარიტად ასეა: შეურევნელი კაცობრივი ბუნების თვისებები განსხვავებულია ჰიპოსტასურ ერთობაში მყოფი კაცობრივი ბუნების ნაცვალბოძებული თვისებებისაგან. პირველი უმეცარია, მეორე – ყოვლისმცოდნე.

აქ აუცილებელია კონტექსტის გათვალისწინება, კერძოდ ის, რომ ხდება აგნოიტების მხილება, რაც ნათელს ხდის იმას, რომ საუბარია სწორედ ჰიპოსტასისეულ და არა შეურევნელი კაცობრივი ბუნების ყოვლისმცოდნეობაზე. იგივე ითქმის არაერთ სხვა შემთხვევაზეც, რადგან ბატონ ედიშერს კონტექსტიდან ამოგლეჯილად მოყავს ციტატები, რაც ურთულებს მკითხველს აზრსა და სიტყვებში გარკვევას, რის გამოც ისინი ხშირად სწორად ვერ იგებენ ციტირებულ სიტყვებს.

"ექვთიმე ზიგაბენი (XI-XII სს.)

„კაცება, რომელიც ჰიპოსტასური ერთობისა და ჰიპოსტასის იგივეობის გამო განიდვრთო თვით მეერთებიდანვე და მიარებიდანვე, დაუყოვნებლივ თანაეზიარა საღვთო აღმატებულებებსა და დიდმშვენიერებებს, და თუმცა არ განდგომია კაცობრივი ბუნების საზღვრებს, გახდა ცხოველმყოფელი და ყოვლისშემძლე და ყოველივეს მცოდნე.

(ციტატის დასასრული).

დიახ, ქრისტეს კაცება ჰიპოსტასის იგივეობის გამო ნაცვალბოძებითად ცხოველსმყოფელია და ყოვლისშემძლეა და ყოველივეს მცოდნეა. სწორედ ამას ამბობს ექვთიმე ზიგაბენი. უცნაურია, მაგრამ ბატონი ედიშერი ყურადღებას არ აქცვეს ავტორის სიტყვებს: "არ განდგომია კაცობრივი ბუნების საზღვრებს", რაც იმას ნიშნავს, რომ შეურევნელი კაცება თავის საზღვრებში დარჩა და, შესაბამისად, ამ საზღვრებში ვერ ჩაეტევა ვერც ცხოველსმყოფელობა, ვერც ყოვლისშემძლეობა და ვერც ყოვლისმცოდნეობა.

ციტატა:

"წმ. კირილე ალექსანდრიელი
«მეჩვიდმეტე სააღდგომო ქადაგება»

когда услышишь, что **преуспевал премудростью**, возрастом и благодатью, **НЕ ДУМАЙ, ЧТО СЛОВО БОЖИЕ СОДЕЛАЛОСЬ МУДРЫМ ПОСТЕПЕННО.** Особенно же припомню, что богодухновенный Павел так написал: *Христос Божия сила и Божия премудрость* (1 Кор. 1, 24). **И ОПЯТЬ НЕ ДЕРЗАЙ ПУСТОСЛОВИТЬ, ЧТО ПРЕУСПЕВАНИЕ ВОЗРАСТОМ, ПРЕМУДРОСТЬЮ И БЛАГОДАТЬЮ ПРИПИСЫВАЕМ ЧЕЛОВЕКУ, ИБО ЭТО, Я ДУМАЮ, ЕСТЬ НЕ ЧТО ИНОЕ, КАК РАЗДЕЛЯТЬ НА ДВА ОДНОГО ХРИСТА.**

(ციტატის დასასრული).

წმ. კირილე ალექსანდრიელი აქ ნათლად ამბობს, რომ ქრისტეს ჩამოთვლილ ღმრთაებრივ თვისებებს ნუ მიაწერთ კაცსო. ჩვენც სწორედ ამას ვამბობთ, რომ ბატონი ედიშერი ქრისტეს

ყოვლისმცოდნეობის თვისებას კაცობრივ ბუნებას მიაწერს. ხოლო წინადადებით – *ибо это, я думаю, есть нечто иное, как разделять на два одного христа,* – წმ. მამა იმას ამბობს, რომ, თუკი კაცს ღმრთაებრივ თვისებებს მივაწერთ, მაშინ ის ჰიპოსტასის იგივური გამოდის, ანუ გვაქვს ორი ჰიპოსტასი ანუ ორი ქრისტე.

ციტატა: *"წმ. კირილე ალექსანდრიელი*

„გვწამს, რომ ღმერთად მყოფი ემმანუელი თვით ქალწულებრივი საშოდან და ნიაღიდან **ადამიანად გამოვიდა, რომელიც იყო ყოვლითურთ სავსე მასში ბუნებითად მყოფი სიბრძნითა და მადლით**. ამიტომ, **რა შემმატებას მიიღებდა ის, რომელიც ჯვის სიბრძნის ყვავლა საუნჯე**, **რომელიც არის** მამასა და ღმერთთან ერთად თანამბოძებელი ზეგარდმო მადლისა? მაშ, როგორ ითქმის, რომ «წარემატებოდა»? როგორც მე ვფიქრობ, **ღმერთი-სიტყვა თანაშეაზომებდა საკუთარი სხეულის ზრდასა და ასაკს მასში მყოფი უღვთისსახოვნესი სიკეთეების გამოჩინებას**“.

(ციტატის დასასრული).

რადგან მაცხოვარი საშოდან ღმერთ–კაცად გამოვიდა, ამიტომ სრულიად ნათელია, რომ სიტყვა "ადამიანში" ღმერთ–კაცი იგულისხმება. წმ. იოანე დამასკელი კი ამბობს: "როცა ეწოდება მას (ქრისტეს–ა.უ.) „ადამიანი“... იღებს იგი ღმრთეების არსების თვისებებსა და ღირსებებს... აი, ეს არის ნაცვალბოძების წესი". შესაბამისად, ბატონი ედიშერის მიერ ამ ციტატის მოხმობა იმავე აღრევაზე მიუთითებს, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

საპატრიარქო კომისიისადმი ზემოთ ხსენებულ წერილში ბატონ ედიშერის მიერ მოყვანილ შემდეგ ციტატასთან დაკავშირებით, რომელიც ეკუთვნის წმ. მაქსიმე აღმსარებელს და შეეხება იმავე საკითხს, რომ მაცხოვარი «აღივსებოდა და წარემატებოდა სიბრძნით», აღვნიშნავთ, რომ იგი წინამორბედი ციტატის მსგავსი შინაარსის მატარებელია და მასზეც იგივე ითქმის, რაც ამის წინ ვთქვით: საუბარია მაცხოვარზე, ანუ ჰიპოსტასზე.

ციტატა: *"წმ. მაქსიმე აღმსარებელი*
«ცხოვრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა»

„ორი ბუნების შეერთებისას დაუყოვნებლივ მაცხოვრის კაცებაში დამკვიდრდა ღმრთეების მთელი სისავსე ხორციელად, როგორც წმინდა მოციქული პავლე ამბობს (*კოლას. 2.9*), ხოლო თვით ის ნათქვამი, რომ იგი «აღივსებოდა და წარემატებოდა სიბრძნითა და მადლით» (*ლკ. 2.52*) იმას ნიშნავს, რომ ღმრთეებისა და კაცების შეერთებიდანვე მაცხოვრის კაცებაში დამკვიდრებული სისავსე მადლისა და სიბრძნისა ხორციელი ასაკის ზრდასთან ერთად მეტად და მეტად ჩნდებოდა და ბრწყინავდა, არათუ ახლად მიეცემოდა უფრო მეტი მადლი და სიბრძნე, არამედ მისი მადლისა და სიბრძნის სისრულე მისი დიდებული საქმეების მიერ ჩნდებოდა და ცნაურდებოდა, რადგან, როგორც მოციქული ამბობს: «თავად იგი არის ყოველივეზე უწინარეს და ყოველივე მის მიერ დაემყარა» (*კოლას. 1.17*), ვინაიდან მაცხოვრის კაცებაში იყო შესაფერისი დამკვიდრება მთელი სისავსისა", ნაცვალბოძების წესის მოქმედებას აღნიშნავს. ხოლო ამ ციტატის მოხმობა ბატონი ედიშერის მიერ იმავე აღრევაზე მიუთითებს, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით.

ციტატა:
"წმ. იოანე დამასკელი
«ქრისტეში ორი ნებისა და მოქმედების შესახებ»

С САМОГО ЗАЧАТИЯ ОН СТАЛ СОВЕРШЕН В БОЖЕСТВЕННОЙ И ЧЕЛОВЕЧЕСКОЙ ПРЕМУДРОСТИ, РАЗУМЕЕТСЯ, КАК ЧЕЛОВЕК.

(ციტატის დასასრული).

რადგან ჩასახვისთანავე ქრისტე ღმერთ–კაცია, ამიტომ ციტატაში საუბარია ღმერთ–კაცზე და ნაცვალბოძებულ სრულყოფილებაზე. კიდევ ერთხელ დავიმოწმოთ წმ. იოანე დამასკელი: *"გვმართებს ვიცოდეთ, რომ უფალმა მიიღო უმეცრებითი და მონური ბუნება, რადგან ადამიანური ბუნება, ერთი მხრივ, მონაა მისი შემქმნელი ღვთისა და მეორე მხრივ, არც სამომავლოთა ცოდნა აქვს მას. ამიტომ, თანახმად გრიგოლ ღვთისმეტყველისა, „თუ ხილულს გავმიჯნავთ გონებითისგან" (30-ე სიტყვა), მონურად და უმეცრად ითქმის ხორცი, მაგრამ ჰიპოსტასისეული იგივეობისა და განურღვეველი ერთობის გამო გამდიდრდა უფლის სული სამომავლოთა ცოდნით, ისევე როგორც დანარჩენი ღვთივნიშნებით"* (თავი სამოცდამეხუთე, უმეცრებისა და მონობის შესახებ). ამაზე მკაფიოდ განსახილველი საკითხის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

ციტატა: *"წმ. ათანასე ალექსანდრიელი «პირველი ქადაგება არიანელთა წინააღმდეგ»*

ЕСЛИ ПРЕСПЕВАЛ, СДЕЛАВШИСЬ ЧЕЛОВЕКОМ, ТО ЯВНО, ЧТО ПОКА НЕ СДЕЛАЛСЯ ЧЕЛОВЕКОМ, БЫЛ НЕСОВЕРШЕН, И БОЛЕЕ ПЛОТЬ СТАЛА ПРИЧИНОЮ ЕГО СОВЕРШЕНСТВА, НЕЖЕЛИ ОН ПРИЧИНОЮ СОВЕРШЕНСТВА ПЛОТИ.

თუ იგი, კაც-ქმნილი, წარემატებოდა, აშკარაა, რომ განკაცებამდე არასრული ყოფილა და უმალ ხორცი გამხდარა მისი სისრულის მიზეზი, ვიდრე იგი – ხორცისა.

(ციტატის დასასრული).

თუკი რაიმე თვალსაზრისით ბატონ ედიშერს სურს, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილი მოყვანილი ციტატა განსახილველ

თემას დაუკავშიროს, აღვნიშნავთ, რომ ციტატაში საუბარია კაც–ქმნილ ღმერთზე, ანუ ღმერთ–კაცზე, ანუ ჰიპოსტასზე.

ციტატა:
"წმ. ათანასე ალექსანდრიელი
«განკაცების შესახებ აპოლინარის წინააღმდეგ»

И такимъ образомъ, Христосъ именуется **СОВЕРШЕННЫМЪ БОГОМЪ И СОВЕРШЕННЫМЪ ЧЕЛОВѢКОМЪ**; не потому что Божеское совершенство перемѣнилось въ совершенство человѣческое (что нечестиво), **НЕ ПОТОМУ ЧТО ВЪ НЕМЪ ПРИЗНАЮТСЯ ОТДѢЛЬНО ДВА СОВЕРШЕНСТВА (ЧТО ЧУЖДО БЛАГОЧЕСТІЮ), и НЕ ПО ПРЕСПѢЯНІЮ ВЪ ДОБРОДѢТЕЛИ И ПРИСВОЕНІЮ ПРАВДЫ** (да не будетъ сего!); но по полнотѣ бытія, да **ТО И ДРУГОЕ БУДЕТЪ ЕДИНЫЙ, ПО ВСЕМУ СОВЕРШЕННЫЙ, ВМѢСТѢ БОГЪ И ЧЕЛОВѢКЪ.**

(ციტატის დასასრული)

დიახ, ღმერთ–კაცი სრულია, არა იმიტომ, რომ მასში ცალ–ცალკე ორ სისრულეს ვაღიარებთ, (не потому, что в нем признатся два совершенства) და რომ ღვთაებრივი სისრულე კაცობრივი ბუნების სისრულეში გადავიდა, არამედ იმიტომ, რომ ღმერთ–კაცი არის სრული. აქ ასევე უნდა გავითვალისწინოთ კონტექსტი: წმ. მამა ამხელს აპოლინარის სწავლებას, რომელიც რაღაცით ჩამოჰგავს კიდეც ბატონი ედიშერის სწავლებას იმ თვალსაზრისით, რომ აპოლინარი ფიქრობდა, რომ განკაცებისას ღმერთს არ შეეძლო ჩვენნაირი კაცობრივი ბუნება მიეღო და აკნინებდა ქრისტეში კაცობრივი ბუნების გამოვლინებას. ჩვენ არ ვიცით, როგორ სურს ბატონ ედიშერს ეს სიტყვები თავისი ცდომილების სასარგებლოდ გამოიყენოს. პირიქით კია, წმ. ათანასეს მოყვანილი სიტყვები მამხილებელი უფროა მისი, ვიდრე მოწმობა.

ციტატა:

"წმ. ფოტი პატრიარქი (IX ს.)

„არანაირად არ შეასტვრდებათ ერეტიკოსებს შემეცრება (მაცხოვრისა)“ (οὐδαμόθεν ἡ ἄγνοια τοῖς αἱρετίζουσι συνδραμεῖται).

(ციტატის დასასრული).

მაცხოვარი, იესო ქრისტე ანუ ღმერთ–კაცი არ არის უმეცარიო, აქ სწორედ ამაზეა საუბარი. ამ ციტატის მოხმობით ბატონი ედიშერი ჩვენთვის ხსენებული "აბრუნდის" ჩატარება ცდილობს.

ციტატა:

"წმ. კირილე ალექსანდრიელი

Кто сказал, что ОТКРОВЕНИЕ ДАНО природе раба обитающим в ней Богом, ПРИТОМ ОТКРОВЕНИЕ ОГРАНИЧЕННОЕ, тот уже превращает Еммануила в пророка нашего, богоносного человека и нечто другое.

(ციტატის დასასრული)

ეს ციტატა უნდა განვიხილოთ წმ. კირილეს კვირელ ეპისკოპოს თეოდორიტესთან პოლემიკის კონტექსტში. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ თეოდორიტე დიდხანს უჭერდა მხარს ნესტორს და წერილობით გმობდა კირილეს ანათემატიზმებს, მაგრამ შემდგომ შეიგნო თავისი ცდომილებანი. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც. საინტერესოა, რომ ბატონი ედიშერი თავის წერილში "ეკლესიის მამათა ანტიერეტიკული მოღვაწეობა" ამტკიცებს, რომ თეოდორიტეს ცდომილება არ იყო სწავლებითიო. მოგვყავს ციტატა ამ წერილიდან: "თეოდორიტეს ცთომილება იყო მხოლოდ და მხოლოდ კირილე ალექსანდრიელის პაექრობითი მიზანდასახულობის სიღრმისეულად ვერ გაგება. ანუ ამ შემთხვევაში თეოდორიტეს ცდომილება არა საკუთარი ნააზრევის მხრივ რაიმე მწვალებლური მოძღვრების, მწვალებლური დებულების გამოთქმაა ..." (ციტატის დასასრული). თავის სხვა წერილში კი, რომლის სათაურია "წმიდა კირილე ალექსანდრიელის პაექრობის შესახებ თეოდორიტე კვირელთან", ბატონი ედიშერი მოყვანილის საწინააღმდეგო მოსაზრებას ამბობს: "როგორც ნამდვილი **ფარულ–ნესტორიანელი** თავისი ცთომილების

წრფელი აღიარების სანაცვლოდ **იქით ადანაშაულებდა წმ. კირილეს ერესშიო**".

წმ. კირილე ალექსანდრიელის ზემოთ მოტანილ ციტატაში წმ. კირილე კაცობრივს ღმერთ–კაცობრივ კონტექსტში განიხილავს და არა საკუთრივ შეურევნელ კაცობრივში. ეს რომ ასეა, ამას თვით ბატონი ედიშერის სიტყვებიც მოწმობენ ზემოთ ნახსენები წერილიდან "წმიდა კირილე ალექსანდრიელის პაექრობის შესახებ თეოდორიტე კვირელთან", რომელშიც ის ამბობს, რომ თეოდორიტემ მარკოზის სახარებისეული სიტყვები ძის უმეცრების შესახებ ისე გაიგო, რომ *"აქ თითქოს საუბარი "ძის" რეალურ ანუ ჰიპოსტასში გამოვლენილ უმეცრებაზე"* არისო, რასაც დაუპირისპირდა კიდეც წმ. კირილე.

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ამ დასახელებულ წერილში ბატონი ედიშერი თავის ამჟამინდელ სწავლებასაც ამხელს. მოგვყავს ციტატა ამონარიდების სახით დედააზრის შეუცვლელად:

"მაცხოვარი, ერთი მხრივ (კერძოდ, **საღვთო ბუნების** კვალობაზე) "**მცოდნეა ყოველივესი",** ხოლო მეორე მხრივ (კერძოდ, **ადამიანური ბუნების** კვალობაზე) "**უმეცარია განკითხვის დღისა**" ანუ **შეზღუდულია ცოდნაში, არასრულ (ნაკლულევან) ცოდნას ფლობს...** ამრიგად, მზესავით ნათელია, რომ, როგორც ზემოთაც არაერთგზის მკაფიოდ აღვნიშნეთ, "**უმეცრებაც**" და "**ცოდნაც**" წმ. კირილესთვის (ისევე როგორც ყველა მართლმადიდებელი მოძღვრისთვის) **განეკუთვნება ერთსა და იმავე ძეს...** წმ. კირილეს უცხადესი უწყება იმის შესახებ**, თუ რა გაგებით უკავშირდება ძეს არცოდნა,** სახეზეა ზემორე ციტატის **უშუალოდ მომდევნო** სიტყვებში: "და თუკი ერთი და იგივეა იგი (ჭეშმარიტი შეერთების მიზეზით) და არა - სხვადასხვა (გამიჯნულად და ცალ-ცალკე), მაშ **უთუოდ მისივე იქნება ცოდნაც და ცხადია, არცოდნის მაჩვენებლობაც"...** ამრიგად, როგორც ვნახეთ, კირილე **რეალურობის ნიშნით** მკვეთრად განასხვავებს ერთიმეორისგან **ღმერთ-ჰიპოსტასის "ცოდნას" და "არცოდნას"**, გვასწავლის რა, რომ განკაცებული ღმერთის ჰიპოსტასს, პირდაპირი გაგებით, ახასიათებს "**ცოდნა**" (ღმრთეებითად) და "**არცოდნის მაჩვენებლობა**" (კაცობრივად)... **მისგან მიღებულ კაცობრივ ბუნებას ჭეშმარიტად ჰქონდა უმეცრებითობა** და **რომ არც ეს უგულებელუყვია მას**

განკაცებისას..." (ციტატის დასასრული). ბარაქალა, ბატონო ედიშერ, ხშირად გადაიკითხეთ ხოლმე თქვენი ეს დაუკვეთავი სიტყვები.

წმ. კირილე ალექსანდრიელთან ერთად ეკლესია განასხვავებს ერთიმეორისგან ღმერთ-კაცის "ცოდნას" (ღმრთეებითად) და "არცოდნის მაჩვენებლობას" (კაცობრივად), რომ ღმრთისგან მიღებულ კაცობრივ ბუნებას ჭეშმარიტად ჰქონდა უმეცრებითობა და რომ არც ეს უგულებელუყვია მას განკაცებისას, ანუ კაცობრივი ბუნება შეურევნელი დარჩა.

ვფიქრობთ, რომ ღირს კიდევ შევჩერდეთ წმ. კირილეს მოყვანილ ციტატაზე. იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ, თუ რაზე საუბრობს წმ. კირილე ალექსანდრიელი და კიდევ უფრო სრულყოფილად შევიმეცნოთ განსახილველი საკითხის არსი, მოვიტანთ ამონარიდს წმ. იოანე დამასკელის თხზულებიდან "მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა", თავი 51, ღმერთ–სიტყვის ერთი შედგენილი ჰიპოსტასის შესახებ (ციტატა ამონარიდის სახით მოგვყავს თავად ბატონი ედიშერის თარგმანის მიხედვით):

"არა მარტოდენ ღმერთად ვქადაგებთ მას, ჩვენეული ადამიანობისაგან გაშიშვლებულად, არათუ – მხოლოდ ადამიანად, ღმრთეებისაგან ლიტონქმნილად... როდესაც ვამბობთ "სრულ ღმერთსა და სრულ ადამიანს", მის ბუნებათა არა ვქადაგებთ მას ღმერთად მხოლოდ, განშიშულებულად ჩუენისა კაცებისაგან, არცაღა კაცად მხოლოდ ლიტონად და განშიშულებულად ღმრთეებისაგან ... რამეთუ თქუთ რაჲ: სრული ღმერთი და სრული კაცი, საცნაურ–ვჰყოფთ სავსებასა და უნაკლულოებასა ორთა ბუნებათა მისთა...და ერთსა ბუნებასა სიტყჳსა ღმრთისასა განჴორცილებულსა რაჲ აღვიარებდეთ, "განჴორცილებულობითა" ჴორცთა არსებასა მოვასწავებთ სიტყჳსაებრ ნეტარისა კჳრილესა, რამეთუ განხორციელდა რაჲ სიტყუაჲ, არავე იქცა თჳსისა უნივთოებისაგან და ყოვლად განხორციელებულ არს და ... და როცა ვამბობთ განხორციელებული ბუნებაარ, ამით, თანახმად ნეტარი კირილეს სწავლებისა, აღვნიშნავთ ხორცის არსს. ამიტომაცაა, რომ სიტყვა იმგვარად განხორციელდა, რომ არ მოკლებია თავის უნივთობას; ამასთან, მთლიანად განხორციელდა და მთლიანადვე რჩება გარეშეუწერელად (უსაზღვრო). ხორცით (სხეულის მიერ) იგი კნინდება და შემოისაზღვრება, ღმრთაებით კი შემოუსაზღვრავი რჩება, რადგან ხორცი არ განივრცო მისი გარეშემოუწერელი

ღმრთაების თანა და არ არის მისი მსგავსი... ქრისტე მთლიანად არის სრული ღმერთი, მაგრამ მის არსებაში ყოველივე როდია ღმერთი; რამეთუ იგი მხოლოდ ღმერთი კი არ არის, არამედ – ადამიანიცაა. ამგვარადვე ქრისტე არის სრულყოფილი ადამიანი, მაგრამ ყოველივე მის არსებაში როდია ადამიანი; რამეთუ იგი მხოლოდ ადამიანი კი არ არის, არამედ – ღმერთიცაა" (ციტატის დასასრული).

დარჩა კიდევ რაიმე გაუგებარი? ვფიქრობთ – არაფერი. უცნაურია, რომ ბატონი ედიშერი სწორად კი თარგმნის, მაგრამ აზრობრივად საწინააღმდეგო ესმის და ქადაგებს. თუ უანგაროდ იღვწის, მაშინ გონებრივ სისუსტესთან გვაქვს საქმე. პირადად ჩვენ არ მივიჩნევთ მას გონებაშეზღუდულ ადამიანად. გავაგრძელოთ.

ციტატა:

"წმ. კირილე ალექსანდრიელი

„«ხოლო იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის», მაგრამ როდესაც **იგი** *[მაცხოვარი, ე, ფ.]* ამბობს თუნდაც ამას, **არანაირად არ გულისხმობს თავის თავს**, ვინაიდან **არ დაუმატებია მას დაგუსტებითად: «არც ღვთის ძემ», არამედ განყენებულად თქვა «არც ძემ»**“.

(ციტატის დასასრული).

წმ. კირილე ალექსანდრიელი ამბობს, რომ არცოდნა ჰიპოსტასს (ღვთის ძეს) კი არ განეკუთვნება, არამედ განყენებულად (შეურევნელ) ძეს: "არამედ განყენებულად თქვა «არც ძემ»". იმის შესახებ, თუ რაზეა აქ საუბარი, დაწვრილებით ვისაუბრეთ წინა ციტატის განხილვისას და, ვფიქრობთ, რაიმე ახალი მომენტი ამ ციტატაში არ გვხვდება.

ციტატა:

"შდრ. წმ. არსენ იყალთოელის თარგმანი:

„«ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის». არამედ ამას რაჲ იტყოდის, **არა უეჭველად თავსა თჳსსა წარმოაჩინებს**, რამეთუ **არცა შესძინა ზედამიწევნით**, თუ: «**არცა ძემან ღმრთისამან**», **არამედ განტევებულად «არცა ძემან» თქუა**“.

(ციტატის დასასრული).

აქაც იგივე ითქმის, რაც წინა ციტატის შემთხვევაში.

ციტატა: *"წმ. გრიგოლ პალამა:*

Поскольку же, как говорит сам Предтеча Господень: "Не в меру Бог дает Духа, но Отец любит Сына и вся даде в руце Его *(Ин. 3, 34-35)*, **является очевидными, что ХРИСТОС И ПО ПЛОТИ ПРИЯЛ ВСЮ БЕЗМЕРНУЮ И БЕЗГРАНИЧНУЮ СИЛУ И ДЕЙСТВИЕ ДУХА.**

ЧТО ИЗ ТВАРНОГО В СИЛАХ ВМЕСТИТЬ ВСЮ БЕСПРЕДЕЛЬНОМОЩНУЮ МОЩЬ ДУХА, КРОМЕ ЗАЧАТОГО В ДЕВСТВЕННОЙ УТРОБЕ при сошествии Святого Духа и под покровом силы Всевышнего *(Лк. 1, 35)*? Потому Он и вместил "всю полноту Божества" *(Кол. 2, 9)*; "а мы все приняли от Его полноты" *(Ин. 1, 16)*.

(ციტატების დასასრული).

ნათელია, რომ საუბარია ძე ღმრთისაზე, ღმერთ–კაცზე, ქრისტეზე, რომელსაც მამა ყველაფერს აძლევს ხელში, და არა განყენებულად შეურევნელ კაცობრივ ბუნებაზე.

ციტატები: *"წმ. ფილოთეოს კოკინოსი (1300–1379):*

„იოანე ადასტურებდა, რომ **ᲛᲐᲡᲨᲘᲐ ᲦᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲔ**, და პავლეც [სწამებდა]: «**ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ ᲦᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲔ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐᲓ**». არ უთქვამს უბრალოდ: «მასში დამკვიდრდა ღმრთეება», არამედ «**ᲦᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲔ**», ესე იგი «**ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲝᲫᲕᲐᲠᲘ ᲦᲛᲠᲗᲔᲑᲘᲡᲐ**“. და რათა არ გეფიქრა, რომ «ღმერთ-სიტყვაში დამკვიდრდა», ამბობს [პავლე]: «**ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ ᲦᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲔ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐᲓ**». **ᲛᲘᲡ** [**ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ**] **ᲮᲝᲠᲪᲨᲘ** **ᲐᲠᲘᲡ** **ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲔ** **ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲘᲡᲐ, ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲡᲧᲝᲤᲘᲡᲐ, ᲫᲐᲚᲘᲡᲐ, ᲜᲘᲨᲔᲑᲘᲡᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐ**“.

„ერთი მხრივ, სხვაა **მასში** კაცობრივი სხეული, მეორე მხრივ კი სხვა – ყოვლადძლიერი ღმრთეება, მაგრამ ვინაიდან **ორივე მათგანისგან ერთია ჰიპოსტასია და ერთი ქრისტე, ერთდროულად ღმერთად და კაცად გულისხმაყოფილი**, ამის გამო **ღმრთეების დიდება ხდება, აგრეთვე, დიდება ხორცისა**“.

(ციტატების დასასრული).

სრულიად აშკარაა, რომ აქაც ჰიპოსტასზე, ქრისტეზეა საუბარი, რაც საგანგებოდ არის კიდეც აღნიშნული: "ვინაიდან ორივე მათგანისგან ერთია ჰიპოსტასი და ერთი ქრისტე, ერთდროულად ღმერთად და კაცად გულისხმაყოფილი". ამიტომ აქაც იგივე ითქმის, რაც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ: სახეზეა ედიშერისეული აღრევა და "აბრუნდი".

ციტატა:

"წმ. სვიმეონ თესალონიკელი (1381–1429):

„**იგი** როგორც **სიტყვა** (ლოგოსი), განუშორებლად მყოფი მამასთან და სულთან, და ყოველივეს მქონე მამისგან, და მოქმედი სულთან ერთად, განკაცდა რა, **მეინყნარებს სხეულებრივადაც სულისეულთა** მიმღებლობას (καταδέχεται **καὶ σωματικῶς** λαβεῖν τὰ τοῦ Πνεύματος), ხოლო საბოძვართა მიმღებია **ის [ქრისტე სხეულებრივად]**, ვინც **სულთან** ერთად მქონეა [მათი], და **არა რამ ნაწილედთა, არამედ – ღმრთეების მთელი სისავსისა, ანუ ყველა ძალისა** (οὐ μερικάς τινας, ἀλλὰ τὸ πλήρωμα πᾶν τῆς θεοτήτος, **πάσας τὰς δυνάμεις** δηλαδή), ვინაიდან ღმერთია რა სიტყვა, **ამათი** [ყველა ძალის, ე. Წ.] მქონეა **სულთან** ერთად და, განკაცდა რა მხოლოდ იგი (რადგან არ შეუსხამს ხორცი არც **მამას**, არც **სულს**), **სულისა და მამის ყველა მოქმედება ჰქონდა ხორცთან ერთადაც** (ἁπάσας εἶχε **καὶ σὺν τῇ σαρκὶ τὰς τοῦ Πνεύματος καὶ τοῦ Πατρὸς ἐνεργείας**). ამიტომ თქვა

პავლეშაც: «რამეთუ მასში დამკვიდრდა ღმრთეების მთელი სისავსე სხეულებრივად». ხედავ, რომ ამბობს: «სხეულებრივად»! და **გახდა რა ის ყოვლადწმინდა სხეული ტაძარი და პარავი ყველა დიდებისა** (ναοῦ γινομένου καὶ σκηνώματος **πάσης δόξης** τοῦ παναγίου ἐκείνου σώματος). ... **მისგან** *[ქრისტეს სხეულისგან]* ჩვენც ვიღებთ მადლს, და **არათუ ღვთის ბუნებას ვეზიარებით, არამედ მისეულ მადლთა საბოძვარებს ვიღებთ.** და ამას ქუხილის ძე ამბობს — იოანე: «და მისი სისავსისგან ჩვენ ყველამ მივიღეთ» *(ი. I.16).* **არათუ «სისავსე» მივიღეთ, არამედ — «სისავსისგან».** ასე რომ, **არა ბუნება [მივიღეთ], არამედ — მადლი,** რადგან **განიღლია და ჩვენი ძალისამებრი, რასაც ვიღებთ ჩვენ თითოეული, ხოლო «მთელი» იქაა** *[ქრისტეს კაცებაში, ე. ფ.],* ვინაიდან სიტყვის ჰიპოსტასი ხორცშესხმული ხდება, **რომელსაც აქვს ღმრთეების მთელი სისავსე**".

(ციტატის დასასრული).

უცნაურია, რომ ბატონ ედიშერს თავისი ცდომილების დასადასტურებლად მოყავს ციტატები, რომლებშიც ცხადზე უცხადესად არის საუბარი ჰიპოსტასზე, ღმერთ–კაცზე. მოყვანილ ციტატაშიც ეს საგანგებოდაა აღნიშნული: "ვინაიდან სიტყვის ჰიპოსტასი ხორცშესხმული ხდება, რომელსაც აქვს ღმრთეების მთელი სისავსე". ბატონი ედიშერისეული "აბრუნდის" ნიშანიც ეს არის: მას თავისი მამხილებელი ციტატები მოყავს, თავს კი ისე აჩვენებს, თითქოს აი, რა კარგი მოწმე მყავსო.

ციტატა:

"კონსტანტინოპოლის 1166 წ–ის წმინდა კრების დადგენილება
და «მართლმადიდებლობის სინოდიკონის» 61–ე განჩინება

НЕ ТЕРПЯЩИМ ЕДИНО-БОЖНЫЯ И РАВНОЧЕСТНЫЯ ПЛОТИ ХРИСТОВЫ ТАКОВЫМИ ГЛАГОЛЫ ДОСАЖДАТИСЯ

(ციტატის დასასრული).

საუბარია ჰიპოსტასზე (ЕДИНО-БОЖИЕ) ანუ ღმერთ–კაც ქრისტეზე, (равночестия плоти Христовы), რაც სრულიად ნათელია. ამიტომ ტყუილად ცდილობს ბატონი ედიშერი "აბრუნდის" ჩატარებას, თითქოს მოყვანილი სიტყვები მის მწვალებლურ სწავლებას რგებდეს რამეს.

ამგვარად, ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ ბატონი ედიშერის (დოგმატიკისა და პატრისტიკის კათედრის) მიერ მიტოპოლიტ შიოსადმი (საპატრიარქო კომისიისადმი) მიწერილ წერილში მოყვანილ უკლებლივ ყველა არგუმენტს, რომელიც ბატონმა ედიშერმა თავისი მწვალებლური სწავლების დასაცავად მოიყვანა. ყველას იმიტომ შევეხეთ, რომ არ ეთქვა ვინმეს, მიკერძოებითად და შერჩევითად მიუდგნენო. ზემოთ მოტანილ უკლებლივ ყველა შემთხვევაში დასტურდება ბატონი ედიშერის მწვალებლური სწავლება: იგი ღმერთ–კაცის თვისებას მიაწერს შეურევნელ კაცობრივ ბუნებას.

«მწვალებლები ყოველთვის ბრკოლდებოდნენ ამ „კლდესა ზედა საცთურებისასა", ანუ დოგმატზე, რომ ქრისტე - „ერთი და იგივე არის სრული ღმერთი და სრული კაცი". მწვალებელთა ყოველი ცდომილება იქიდან აღმოცენდებოდა, რომ ისინი ცხადად ვერ არჩევდნენ ჰიპოსტასს ბუნებისაგან. აქედან მომდინარეობდა მათი უგულისხმოება: „ორი სრული საწყისი ვერ შეერთდება და ვერ წარმოქმნის ასეთივე სრულ მესამე ბუნებას". ... მონოფიზიტები ერთი მაცხოვრის ორ ძედ გაყოფის შიშით მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდნენ და ასწავლიდნენ ბუნებათა ერთგვარი შერწყმის შესახებ» ([1]. გვ. 23)

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ, როგორც ვიცით, მონოფიზიტობა გახლდათ ერთგვარი რეაქცია წინამორბედ ნესტორის მწვალებლობაზე. ნესტორის სწავლების დიამეტრალურად საწინააღმდეგო მეორე უკიდურესობაა სწავლება იმის შესახებ, რომ ღმრთაებრივმა ბუნებამ შთანთქა და შეირია კაცობრივი ბუნება, როგორიცაა კერძოდ, ბატონი ედიშერის სწავლება შეურევნელი კაცობრივი ბუნების განღმრთობის გზით ღვთაებრივთან აბსოლუტურად იგივურად გარდაქცევის შესახებ. სურს რა ღმერთ–კაცის თვისება შეურევნელ კაცობრივს მიაწეროს, ბატონი ედიშერი

აქცენტს მხოლოდ ქრისტეს ორი ბუნების განუყოფელობასა და განუყრელობაზე აკეთებს, ამასთან იგნორირებას უკეთებს შეურევნელობასა და უცვალებლობას. და რადგან განუყოფელის, ღმერთ–კაცის თვისება შეურევნელსა და უცვალებელზე (განყენებულად კაცობრივ ბუნებაზე) გადააქვს, ამით, ფაქტობრივად, უარყოფს შეურევნელობას და უცვალებლობას და მისი ეკლესიოლოგია მონოფიზიტური მწვალებლობის პარალელურ ნიშნებს იძენს. სხვა სიტყვებით, ბატონი ედიშერი უარყოფს ქრისტეს კაცობრივი ბუნების გამოვლინებას (ყოველ შემთხვევაში მათ ნაწილში) და იხრება აზრისკენ, რომ ქრისტეში ღვთაებრიობამ სრულად შთანთქა კაცობრივი ბუნება (ბატონი ედიშერის სიტყვებით განიღმრთო და კაცობრივი ბუნება **<u>აბსოლუტურად იგივური</u>** გახდა საღმრთო ბუნებისა). ამიტომ ის, ფაქტობრივად, მონოფიზიტობის მსგავსად ასწავლის, რომ მასში (ქრისტეში), როგორც სრულყოფილ ღმერთში, ადამიანური ბუნება შეერწყა ღვთაებრივს (თუნდაც ზოგიერთი თვისების ფარგლებში). ის, რომ ეს ორივე უკიდურესობა თანაბრად სძაგს ეკლესიას, ამას იგივე VI მსოფლიო კრების პირველი კანონი მეტყველებს (ციტატა): *"მასთან ერთად ნესტორიცა და დიოსკორეც, რომელთაგან ერთი ქრისტეში ბუნების გაყოფის დამცველი და ქომაგი იყო, მეორე კი პირიქით - ბუნებათა შერევის, და რომლებიც უსჯულოების ურთიერთსაწინააღმდეგო ქვეყნებიდან უღმერთოებისა და წარსაწყმედელის ერთ უფსკრულში შთავარდნენ"* (ციტატის დასასრული).

ამგვარად, ბატონი ედიშერის სწავლება ნესტორის სწავლების დიამეტრალურად საპირისპირო მწვალებლობაა, ანუ ისინი *"უსჯულოების ურთიერთსაწინააღმდეგო ქვეყნებიდან"* არიან. დიამეტრალურად საწინააღმდეგოები მათემატიკურად 180 გრადუსით საპირისპიროებად შეგვიძლია განვიხილოთ, რომლებზეც ამბობენ, რომ ისინი ერთმანეთის სარკისებურ ანასახებს წარმოადგენენ. ამიტომ ფიგურალურად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ედიშერი – ეს არის ნესტორი სარკეში.

ავთანდილ უნგიაძე
ფიზ.–მათ. მეცნიერებათა დოქტორი

* * *

დ ა მ ა ტ ე ბ ა

საპატრიარქოს უწყებანი,7 აგვისტო, 2020წ.

2020 წლის 3 აგვისტოს შედგა მორიგი შეხვედრა საღვთისმეტყველო საკითხების შესახებ.

შეხვედრაზე განხილულ იყო, თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრის გამგის, ედიშერ ჭელიძის მიერ მისსავე წიგნებში ("საეკლესიო დოგმატიკა და ერესები", ტომი 1 და "გზა მსოფლიო კრებათა დოგმატური ღვთისმეტყველებისაკენ...") განმარტებული საკითხი – "ქრისტეს კაცობრივი ბუნების ყოვლისმცოდნეობის შესახებ".

შეხვედრას უძღვებოდა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი).

მონაწილეობდნენ:
პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე), დეკანოზი ანდრია (ჯაღმაიძე), დეკანოზი ლონგინოზი (სუარიშვილი), დეკანოზი დავითი (ისაკაძე), დეკანოზი დავითი (ქვლივიძე), დეკანოზი დავითი (ნოზაძე).

შეგახსენებ, რომ ამ საკითხზე პირველი შეხვედრა შედგა 2020 წლის 11 ივლისს. მას ესწრებოდნენ პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხის, ტაო-ჯლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, არქიმადრიტი დავითი (ჭინჭარაული), დეკანოზი დავით ისაკაძე, დეკანოზი დავით ქვლივიძე, დეკანოზი დავით ლასურაშვილი, თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრის გამგე ედიშერ ჭელიძე. მომდევნო შეხვედრების საჭიროება განაპირობა საკითხის დაზუსტების აუცილებლობამ.

განმარტება მაცხოვრის კაცობრივი ბუნების ყოვლისმცოდნეობის შესახებ წაკითხულ იქნა შემდეგი სახით:

გვმართებს ვიქონიოთ მხედველობაში, რომ როდესაც ქრისტეს განეკუთვნება სხვადასხვა საღვთო თვისება, ისეთი, როგორებიცაა ყოვლისმცოდნეობა, ყოვლისშემძლეობა, ყველგანმყოფობა, ცხოველმყოფელობა და ა. შ., ისინი განეკუთვნება მას, როგორც ერთიან პიროვნებას, მაგრამ არ განეკუთვნება ცალკე აღებულ ადამიანობას. ამასთანავე, ქრისტეს ადამიანურობა არ გარდაქმნილა ღმრთეებად. ამიტომ იგი თავისთავად არ შეიძლება იწოდებოდეს ყოვლისმცოდნედ, ყოვლისშემძლედ, ცხოველმყოფელად და ა. შ.

ორი ბუნების ჰიპოსტასური შეერთება გულისხმობს ერთ შედგენილ ჰიპოსტასს, რომელშიც შეურევნელად და შეუცვლელად ჰგიეს ორივე ბუნება შეერთების შემდეგაც. ორივე ბუნება, შეერთების შემდეგაც, ინარჩუნებს ერთმანეთისაგან ბუნებისეულ განსხვავებულობას და მათთვის დამახასიათებელ ბუნებისეულ თვისებებს, ანუ ჰიპოსტასური შეერთების შედეგად არც საღმრთო ბუნებას შეუძენია ადამიანური ბუნების თვისებები და არც ადამიანურს – საღმრთო ბუნებისა, რადგან ბუნებანი შეურევნელნი დარჩნენ, ხოლო მათი თვისებანი – უვნებელნი.

მოყვანილი იყო მსოფლი საეკლესიო კრებებზე მიღებული დადგენილებები და საეკლესიო მამათა ნაშრომებიდან ამონარიდები:

სამ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე: ეფესოს III, ქალკედონის IV და კონსტანტინოპოლის VI, ეკლესიამ განაცხადა დოგმატი, რომლის თანახმადაც, უფალი იესო ქრისტე ერთჰიპოსტასოვანი და ორბუნებოვანია (საღმრთო და კაცობრივი). ქალკედონის IV კრებამ ზუსტად ჩამოაყალიბა ქრისტეში ორი ბუნების შეერთების შესახებ სწავლება:

"აღიარებულ იქნეს... უფალი იესო ქრისტე, როგორც სრული ღმერთი და სრული ადამიანი, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი ადამიანი... მამისა თანაარსი ღმრთეებითად და ჩვენი – კაცობრივად. ჩვენი მსგავსია ყველაფრით, გარდა ცოდვისა".

იმავე კრების მამები გვასწავლიან, რომ იესო ქრისტეში "ორი ბუნება შეიცნობა შეურევნელად, უცვლელად, განუყოფელად და განუშორებელად".

ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მოიწონეს წმინდა კირილე ალექსანდრიელის სარწმუნოების გადმოცემა, რომლის მიხედვითაც: "უფალ იესო ქრისტეს ერთიან ჰიპოსტასში შეერთებულია საღმრთო და ადამიანური ბუნება. ამ განსხვავებულ ბუნებათა შეერთების გზა გამოუთქმელია და ამოუხსნელი".

წმინდა იოანე დამასკელი ,,მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა", თავი ოცდამეთექვსმეტე, ,,ვნებულებებისა და მოქმედების შესახებ“:

“არც უფლის (ადამიანური) სულისადმი ვამბობთ განზრახვას ან არჩევანს, რადგან არ ჰქონდა მას უმეცრება. თუმცა სამომავლო საქმეთა არმცოდნე ბუნებისა იყო იგი, მაგრამ გვამოვნებითად ღმერთ-სიტყვასთან შეერთებულს ყოველივეს ცოდნა ჰქონდა, არა მადლით, არამედ, როგორც ითქვა, გვამოვნებითი შეერთების გამო, რადგან ერთიდაიგივე იყო ღმერთიც და კაციც, ამიტომ, არც განზრახულებითი ნება ჰქონია მას, რადგან თუმცა კი ნებელობა ჰქონდა, ბუნებითი და მარტივი, რაც ადამიანთა შორის ყოველ პიროვნებაში მსგავსადვე განიჭვრიტება, მაგრამ მის წმინდა სულს არ ჰქონია მისი საღვთო ნების საწინააღმდეგო ან მისი საღვთო ნებისგან განსხვავებული განზრახულება ანუ ნებებული რამ“.

წმინდა არსენ იყალთოელის თარგმანი: “არცა საუფლოჲსა სულისათჳს ვიტყჳთ განზრახვასა ანუ წინააღრჩევასა, ვინაითგან არა აქუნდა უმეცრებაჲ, რამეთუ დაღათუ ყოფადთა უმეცრისა ბუნებისაჲ იყო, გარნა ეგრეთცა, ვითარცა გუამოვნებით შეერთებულსა სიტყჳსა ღმრთისასა, აქუნდა მეცნიერებაჲ ყოველთაჲ, არა მადლით, არამედ, ვითარცა ითქუა, გუამოვნებითისათჳს შეერთებისა, რამეთუ თჳთვე იყო ღმერთი და კაცი”,

წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000,. გვ. 130;

წმ. მაქსიმე აღმსარებელი, PG. 90, col. 840 A

“ორმაგი რამ არის უმეცრება: ერთი გასაკიცხი და მეორე არგასაკიცხი. პირველი მათგანი ჩვენზეა დამოკიდებული, ხოლო მეორე ჩვენზე დამოკიდებული არ არის. ის, რაც გასაკიცხია და ჩენზეა დამოკიდებული, ესაა უმეცრება სათნოებისა და ღვთისმოსაობის შესახებ, ხოლო არგასაკიცხია და ჩვენზე დამოკიდებული არ არის [უმეცრება] ყოველივე იმისა, რაც გვინდა რომ ვიცოდეთ, მაგრამ არ

ვიცით, როგორც, მაგალითად, შორს მომხდარნი [ან] სამომავლოდ მოსახდენნი. ამიტომ, თუ წმინდა წინასწარმეტყველთა შორის მადლით შეიცნობოდა შორეულნი და ჩვენგან დამოუკიდებელნი, როგორღა არ ეცოდინებოდა უმალ ყოველივე ღვთის ძეს და, ამის შემდეგ, კაცებასაც, - არა ბუნებით, არამედ სიტყვასთან [ლოგოსთან] შეერთებულობით? მართლაც, ისევე როგორც გავარვარებულ რკინას აქვს ცეცხლის ყველა თვისება, ვინაიდან ანათებს და წვავს, თუმცა არათუ ცეცხლია იგი ბუნებით, არამედ - რკინა, მსგავსადვე, უფლის კაცებამაც, იმდენად რამდენადაც შეუერთდა იგი სიტყვას [ლოგოსს], ყოველივე იცოდა და ყოველივეს, რაც ღვთის-შესაფერისია, თავის თავში გამოაჩინებდა, ხოლო, ამასთან, რამდენადაც სწორედ კაცობრივი ბუნება იყო ის, რაც მასში შეერთდა, ითქმის, რომ "არ იცოდა"

„Как нам следует понимать неведение Сына [Божия] относительно завершения? Существует два [вида] неведения - укоризненное и неукоризненное , и одно из них зависит от нас, а другое не зависит от нас. То, что укоризненное и зависит от нас, касается добродетели и благочестия. То же, что неукоризненно и не зависит от нас, касается вещей, о которых мы, хотя и хотим знать, не знаем, ибо они происходят далеко или произойдут в будущем. Итак, если [в случае] со святыми пророками они по благодати распознавали далекое и не зависящее от нас, не в несравненно ли большей степени Сын Божий знал все [вещи], и по этой причине [его] человечество, не по природе, но по единению с Логосом [знало их]? Ибо подобно тому как раскаленное в огне железо имеет все свойства огня ибо горит и жжет,-хотя по природе не огонь, но железо, так и человечество Господа, по единению с логосом все знало, и все, что подабает божеству, в нем было явлено. По [самой] же человеческой природе, соединенной с Ним [то есть, Логосом], говорится, что Он не знал».

прп. Максим Исповедник, Вопросы и недоумения, Издание подготовили Г. И. Беневич и Д. А. Черноглазов, Святая гора Афон • Москва, 2010, с. 209

ამავე ციტატის ბოლო ორი წინადადების რუსულიდან თარგმნილი ვარიანტი: “…მსგავსადვე, ლოგოსთან შეერთებულმა უფლის კაცებამაც იცოდა ყოველივე და ყოველივე ღმრთის შესაფერისი მასში გამოვლინდებოდა. თუმც ითქმის, რომ ლოგოსთან შეერთებული საკუთრივ კაცობრივი ბუნებით მან არ იცოდა”.

წმინდა ნიკიფორე აღმსარებელი, (კონსტანტინოპოლის პატრიარქი 806-815 წწ-ში) “სიტყვისგება და დამხობა” (Αντιρρησις και Ανατροπη):

“მან როგორც ღმერთმა ყოველივე იცის შექმნამდეც კი. ამგვარად, იგი, სადღაც შორს მყოფი, მოწაფეებს მეგობრის დაძინებას განუცხადებდა წინასწარ, ხოლო იქ მისული და საფლავს მიახლოებული გამოიკითხავს: “სად დადეთ იგი [ლაზარე]? (მათე 11, 34), წარმოაჩენს რა ჩვენეული ბუნების საზომებს. აგრეთვე: “იესომ იცოდა მათი აზრები”, რამეთუ განიზრახავდნენ მისდამი კითხვის დასმას, ვინაიდან მას როგორც ადამიანსაც, ყოველივეს ცოდნა ჰქონდა სიტყვასთან [ლოგოსთან] ჰიპოსტასური შეერთებულობით, ისევე როგორც გამდიდრებული იყო იგი დანარჩენი სიკეთეებით. და კიდევ, მაჩვენებლობდა იგი არცოდნას “იმ დღისა და ჟამისა”, როდესაც უნდა მოიწიოს ყოველივეს დასასრული. ”

“как Бог он знает всё прежде, чем оно случилось. Так, находясь вдали, Он, как Бог, предвозвестил ученикам кончину Своего друга (Ин. 11, 14). Находясь же вблизи и приближаясь ко гробу, Он спрашивает: «где положили его» (Мф. 11, 34), выказывая тем меру нашего естества. Так же: «Иисус же знал помышления их» (Мф. 9, 4), то есть, то, о чём хотели спросить Его, ибо и как человек он знал всё вследствие ипостасного соединения со словом, равно как был обогащён и прочими совершенствами. И затем опять делает вид, что не знает дня и час, когда придёт конец мира (Мф. 24, 36)».

Разбор и опровержение невежественного и безбожного суесловия нечестивого Мамоны против спасительного воплощения Бога Слова, Пер. И. Д. Андреева; под. ред. М. Д. Муретова Богословскій Вѣстникъ, Издаваемый Московскую Духовною Академией.

წმიდა კირილე ალექსანდრიელი: (პერიფრაზი) ,,როგორც ღმერთმა, იცის დღე და ჟამი (მეორედ მოსვლის), თუმცაღა გამოაჩენს რა ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებას, ამბობს რომ - არ იცის. რადგან ადამიანისათვის თვისობრივია მომავლის არ ცოდნა“. (святитель Кирилл Александрийский ,,Книга сокровищ о Святой и Единосущной Троице. Слово 22).

წმიდა კირილე ალექსანდრიელი: (პერიფრაზი) ,,როცა, იესო ქრისტე ამბობს, რომ არ იცის მეორედ მოსვლის ჟამი, ამით წარმოაჩენს თავის კაცობრივ ბუნებას, თუმცაღა ძე ღმრთისამ იცოდა ცხადია, მეორედ მოსვლის ჟამი“. (Святитель Кирилл Александрийский ,,Книга сокровищ о Святой и Единосущной Троице”. Слово 22).

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი

“სახელი “ქრისტე” ცხადმყოფელია არა ბუნებისა, არამედ - შედგენილი ჰიპოსტასისა. ეს ნიშნავს, რომ მთელი ქრისტე არის უფალიც, ღმერთიც და ყოვლადძლიერიც, აქვს რა თავის თავში, აგრეთვე, ისიც, რაც ჩვენს გამო და ჩვენი ცხონებისთვის განუყოფლად და შეურევლად შეიმოსა - ხორცი ვნებადი და არა-ყოვლისშემძლე, ქმნილი, ხილული, გარეშეწერილი, რომელსაც [ქრისტეს ხორცს ანუ კაცებას,] ჰქონდა ნება, ბუნებითად არაყოვლისშემძლე, მაგრამ ქრისტეში ყოვლისშემძლე”.

«Имя Христа обозначает не естество, а сложную Ипостась (συνθέτουὑποστάσεως). То есть весь Христос есть и Господь, и Бог, и всемогущий, имея в Себе и плоть, которую ради нас и ради нашего спасения нераздельно и неслиянно носил, плоть, подверженную страданию и невсесильную, сотворенную, видимую, ограниченную; плоть, не всемогущую по естеству, но через христа имеющую всесильную волюю».

Собрание творений преподобного Иустина (Поповича), Том 2, Догматика Православной Церкви, Москва, 2006, с. 447

წმ. იუსტინე პოპოვიჩი: “კაცობრივ ბუნებას როგორც ასეთს არ ეკუთვნის ეს ცოდნა, რის გამოც მაცხოვარი ამბობს, რომ ძე კაცისამ ეს არ იცის. ე.ი. არ იცის მისმა ადამიანურმა ბუნებამ. თუმცა როგორც ძე ღმთისამ და ღმერთ-სიტყვამ ეს იცის. ადამიანურ ბუნებას თავისი ძალით არ შეუძლია ეს შეიცნოს და იცოდეს. ამ შემეცნებასა და ცოდნას ის იღებს როგორც ნიჭს ყოვლისმცოდნე ღმერთისგან“.

„Человеческому естеству как таковому не принадлежит это знание, почему Спаситель и говорит, что даже Сын человеческий этого не знает, т.е. не знает Его человеческое естество, хотя как Сын Божий и Бог Логос, Господь Христос это знает. Человеческое естество по своей силе не может узнать и знать этого; это познание и знание оно может получить как дар от всеведущего Бога“.

Архимандрит Иустин (Попович) "Толкование на Евангелие от Матфея, Св.монастыръ Челие, 1978 г.

წმ. იუსტინე პოპოვიჩი:

“მიუხედავად იმისა, რომ კაცობრივი ბუნების განღმრთობის შედეგად ქრისტეში განიღმრთო თვით კაცობრივი შემეცნებაც, მაინც იგი [კაცობრივი შემეცნება] არ გარდაქმნილა საღვთო ყოვლისმცოდნეობად, იმდენად რამდენადაც ყოვლისმცოდნეობა არის

საღვთო არსების თვისება, თუმცა სიტყვასთან ჰიპოსტასურ ერთობაში იგი [კაცობრივი შემეცნება] გამდიდრდა საღვთო ყოვლისმცოდნეობით, არ გადაულახავს რა ადამიანური ბუნების საზღვრები''

„Хотя по причине обожения человеческого естества во Христе обожилось и само человеческое познание, тем не менее оно не претворилось в Божественное всеведение, так как всеведение есть свойство Божественного естества, но в ипостасном единстве со Словом оно обогатилось божественным всеведением, не переступая границ естества человеческого”

Собрание Творений Преподобного Иустина (Поповича), Догматика Православной Церкви, Часть первая, Часть вторая, Том II, Москва, 2006, с. 454.

წმ. იოანე დამასკელი „ ბუნებათა რიცხვის შესახებ“

„ქრისტეს ბუნებანიც თუმც შეერთებულია, მაგრამ შეურევნელად შეერთებული, და თუმცა ურთიერთში დამტევნელობენ ისინი, ურთიერთისადმი ცვალებადობასა და გარდაქმნას არ უშვებენ, რადგან თითოეული ბუნება უცვლელად იცავს თავის ბუნებისეულ თვისებას. ამიტომაც აღირიცხებიან ისინი და ამ რიცხვს არ შემოაქვს განყოფა, რადგან ერთია ქრისტე, სრული ღმრთეებაში და ადამიანობაში''.

„таким же самым образом и естества Христа, хотя они и соединены, но соединены неслитно; хотя они и проникают друг в друга, но не допускают как изменения, так и превращения одного в другое. Ибо каждое из двух сохраняет свое природное свойство неизменяемым. Почему они и исчисляются, и [однако] число это не вводит разделения. Ибо один – Христос, совершенный как в Божестве, так и в человечестве”

св. Иоанн Дамаскин, Точное изложение православной веры. – Ростов-н/Д: Братство Святого Алексия, Изд-во "Приазовский край", 1992; с.242 (репр. переизд.: СПб., 1894).

წმ. იოანე ოქროპირი

“იმ შემთხვევისთვის, როდესაც თქვა "დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის”, არცა ყოვლისმცოდნე ძემ: "კაცობრივად არც მე ვიცი" - სწორედ ასე უნდა გავიგოთ მისი ეს სიტყვები''

„В том случае, что «о дне же том никтоже весть”, ни даже Сын, обладающий всеведением: “по человечеству и я не знаю” - вот как нужно понимать эти Его слова“.

Св. Иоанн Златоуст "Беседы на Евангелие от Иоанна Богослова", том II, стр. 817.

* * *

გამოყენებული წყაროები

[1]. არქიმანდრიტი ლაზარე (აბაშიძე) – "წერილი საღმრთისმეტყველო კომისიას თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ღმრთისმეტყველების კათედრის გამგის ე. ჭელიძის ცრუ სწავლების თაობაზე", თბილისი 2004.

[2]. საპატრიარქოს უწყებანი, 2020წ. 7 აგვისტო

[3]. წმ.იოანე დამასკელი – მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისი, 2000წ.

P.S.

ამ ბროშურის დაბეჭდვა რამდენადმე გაჭანურდა. მისი დაწერის შემდეგ და მის გამოცემამდე ამავე საკითხებთან დაკავშირებით გამოიცა ბროშურა:
"ბუნებათა შეერთება ქრისტეში", წიგნი პირველი, თბილისი 2021.
ნაწილი I - წმიდა მამები ქრისტეში ბუნებათა შეერთების შესახებ.
ავტორები: დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე, დეკანოზი ბესარიონ მენაბდე, დეკანოზი გიორგი ბერიშვილი.
ხსენებულ ბროშურაში ეკლესიოლოგიურად მართებული არგუმენტებით მხილებულია ბატონ ედიშერ ჭელიძის მწვალებლობანი.